



საქართველოს ეროვნული ბანკი
National Bank of Georgia

საზემდამხედველო სტრატეგია 2020-2022

2022 წლის გამოცემა

პრეზიდენტის მიმართვა	3
ნაწილი I.....	5
მანდატი, მისია და ხედვა	5
რისკის აპედიცის განაცხადი	5
სამუშაოს შესრულების ინდიკატორები	6
საზედამხედველო რეჟიმი და პრინციპები.....	6
ხედვა ინოვაციებთან დაკავშირებით	7
საოპერაციო მოდელი	10
საოპერაციო გარემოს ახალი გამოწვევები.....	10
ნაწილი II.....	12
ეროვნული ბანკის 2020-2022 წლების სტრატეგიული საზედამხედველო პრიორიტეტები	12
ლიდერობის და ინიციატივების წამახალისებელი კორპორატიული კულტურის გაძლიერება.....	13
დაინტერესებულ მხარეებთან თანამშრომლობის გაძლიერება.....	14
საფინანსო სექტორის მდგრადი ფუნქციონირების ხელშეწყობა	15
საერთაშორისო სტანდარტებთან დაახლოება.....	18
მდგრადი ფინანსური ტექნოლოგიების ეკოსისტემის განვითარება	20
საზედამხედველო სტრატეგიის შესრულების რისკები.....	22
სტრატეგიის განახლების პერიოდულობა.....	23
ცვლილებების გეგმა	23
დანართი: 2021 წლის მნიშვნელოვანი მოვლენები, რეფორმები და სტრატეგიის შესრულების ანგარიში.....	25
გამოყენებული ტერმინები	40



ეროვნული ბანკი 2022 წელსაც აქვეყნებს 2020-2022 წლების სტრატეგიის 2022 წლის განახლებას და წინა სტრატეგიით განსაზღვრული პრიორიტეტებისა და ცვლილებების შესრულების ანგარიშთან ერთად, წარმოადგენს მომდევნო 12-18 თვის პერიოდში დაგეგმილ საზედამხედველო პრიორიტეტების ძირითად ამოცანებსა და ცვლილებებს.

მსგავსად 2021 წლისა, ეროვნული ბანკის 2020-2022 წლების სტრატეგიით განსაზღვრული საზედამხედველო პრიორიტეტები 2022 წელსაც უცვლელია. კერძოდ, საქმიანობას ეროვნული ბანკი შემდეგი საზედამხედველო პრიორიტეტების გათვალისწინებით წარმართავს:

1. ლიდერობისა და ინიციატივების წამახალისებელი კორპორაციული კულტურის გაძლიერება;
2. დაინტერესებულ მხარეებთან თანამშრომლობის გაძლიერება;
3. საფინანსო სექტორის მდგრადი ფუნქციონირების ხელშეწყობა;
4. საერთაშორისო სტანდარტებთან დაახლოება;
5. მდგრადი ფინანსური ტექნოლოგიების ეკოსისტემის განვითარება.

თუმცა, გარდა აღნიშნული საზედამხედველო პრიორიტეტებისა, ყურადღებას გავამახვილებ მსოფლიოსა და საქართველოში მიმდინარე იმ რთულ პროცესებზე, რომლებმაც უდავოდ დიდი გავლენა მოახდინა როგორც ეროვნული ბანკის, ისე ეროვნული ბანკის ზედამხედველობას დაქვემდებარებული სუბიექტების საქმიანობასა და დღის წესრიგზე.

Covid 19-ის პანდემიით გამოწვეული მსოფლიო კრიზისის კვალდაკვალ მსოფლიო ჯანდაცვის, ეკონომიკური და ფინანსური სტაბილურობის კუთხით უპრეცედენტო გამოწვევების წინაშე აღმოჩნდა. შესაბამისად, უპრეცედენტო გამოწვევებმა მოითხოვა უპრეცედენტო და გაბედული ზომების მიღება, რაც COVID-19 - ის პანდემიის ქვეყნის საფინანსო სექტორზე უარყოფითი ეფექტების შერბილებასა და ქვეყნის ეკონომიკის წახალისებას შეუწყობდა ხელს. პანდემიის მსგავსი გლობალური შოკი, შეგვახსენებს, რომ კრიზისისთვის მუდმივი მზაობა სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია. კრიზისამდელ პერიოდში გატარებული პროაქტიული და თანმიმდევრული ზომების წყალობით, საქართველოს ფინანსური სექტორი პანდემიით გამოწვეულ შოკს კარგად მომზადებული შეხვდა და მდგრადობა შეინარჩუნა.

საქართველოს ეროვნულმა ბანკმა, COVID-19-ით გამოწვეული კრიზისის საპასუხოდ, არაერთი საგანგებო ღონისძიება გააძარა.

ეროვნული ბანკი, ეკონომიკის მიმდინარე გამოწვევებთან გასამკლავებლად, საზედამხედველო ღონისძიებებზე მუშაობასთან ერთად, დიდ ყურადღებას უთმობს გრძელვადიან პოლიტიკას, რომელიც ხელს შეუწყობს ეკონომიკის ინკლუზიურ და მდგრად ზრდას. ასევე დღის წესრიგში ერთ-ერთ პრიორიტეტად ფინანსური ტექნოლოგიების სფეროში არსებული ინიციატივები რჩება.

ეროვნული ბანკი კვლავაც გამჭვირვალობის პრინციპების ერთგული რჩება. მნიშვნელოვანია, რომ ეროვნულმა ბანკმა გამოქვეყნებული სტრატეგიის დოკუმენტი საფინანსო სექტორის წარმომადგენლებთან, საბანკო ასოციაციის წარმომადგენლებსა და ეკონომიკის დარგის ექსპერტებთან წარადგინა და მოისმინა მათი მოსაზრებები და შეფასებები¹. გარდა სტრატეგიის დოკუმენტის გამოქვეყნებისა, გადავწყვიტეთ, რომ სტრატეგიის დოკუმენტის გაცნობითი ხასიათის ღონისძიება ყოველწლიურად გაიმართება, რაც ხელს შეუწყობს ეროვნული ბანკის საზედამხედველო პრიორიტეტებსა და გეგმებზე ინფორმაციის ხელმისაწვდომობასა და ეროვნული ბანკის სამომავლო გეგმებზე სექტორისთვის პროგნოზირებადობის ზრდას.

გასულ წელს ეროვნული ბანკი აქტიურად განაგრძობდა მუშაობას დოკუმენტით განსაზღვრული სტრატეგიული პრიორიტეტებისა და დაგეგმილი ცვლილებების განხორციელების კუთხით. სტრატეგიით გათვალისწინებული ღონისძიებების შესრულების მოკლე ანგარიში მოცემულ დოკუმენტშია წარმოდგენილი, უფრო ვრცელი ინფორმაცია ეროვნული ბანკის საქმიანობისა და მაჩვენებლების შესახებ კი, 2021 წლის წლიურ ანგარიშში დეტალურად იქნება მიმოხილული.



კობა გვენეტაძე

ეროვნული ბანკის პრეზიდენტი

¹ აღნიშნული ღონისძიების შესახებ დეტალები იხილეთ სებ-ის ვებგვერდზე ([ლინკი](#))

მანდატი, მისია და ხედვა



მანდატი

საფინანსო სექტორის ზედამხედველობის თვალსაზრისით, საქართველოს ეროვნული ბანკის კანონმდებლობით განსაზღვრული ამოცანაა საფინანსო სექტორის ფინანსური მდგრადობისა და გამჭვირვალობის ხელშეწყობა, მომხმარებელთა და ინვესტორთა უფლებების დაცვა.

მისია

მდგრადი და ჯანსაღი საფინანსო სექტორის განვითარების ხელშეწყობა, რომელიც ღიაა კვალიფიციური ინვესტორებისთვის, სადაც უზრუნველყოფილია კონკურენტუნარიანი გარემო და დაცულია მომხმარებელთა ინტერესები.

ხედვა

ეროვნული ბანკი ფინანსური სექტორის დამოუკიდებელი და კომპეტენტური ზედამხედველია, რომელსაც აქვს საზოგადოების ნდობა, დაინტერესებული მხარეების პატივისცემა და თანამშრომლების განვითარებაზე ორიენტირებული სამუშაო გარემო.

რისკის აპეტიტის განაცხადი

მანდატის შესრულების მიზნით, მისიისა და ხედვის გათვალისწინებით, ეროვნული ბანკი ზედამხედველობს საფინანსო სექტორის წარმომადგენელი სუბიექტების, სესხის გამცემი სუბიექტების, საკრედიტო საინფორმაციო ბიუროს საქმიანობას, ხელს უწყობს საფინანსო სისტემის სტაბილურ და ეფექტიან ფუნქციონირებას, კონკურენტუნარიანი გარემოს ჩამოყალიბებას, სისტემური რისკის კონტროლსა და რისკების შემცირებას.

პრუდენციული ზედამხედველობის რეჟიმი ორიენტირებულია მთლიანი ფინანსური სისტემის მდგრად ფუნქციონირებაზე. აღნიშნული გულისხმობს არა საფინანსო სისტემის მონაწილე თითოეული ინსტიტუტების გაკოტრების თავიდან გარდაუვალ არიდებას, არამედ გაკოტრების რისკებისა და საფრთხეების დროულად გამოვლენას და სათანადო ზომების მიღებით მთლიან საფინანსო სისტემის სტაბილურ ფუნქციონირებაზე გამომწვეული უარყოფითი ეფექტების მაქსიმალურ შემცირებას.

სამუშაოს შესრულების ინდიკატორები

სამუშაო პროგრესის გაზომვა შემდეგი ინდიკატორებითაა შესაძლებელი:

1. საფინანსო სექტორის დეპოზიტორთა და კრედიტორთა დანაკარგების შეფარდება დეპოზიტებისა და კრედიტების მთლიან ოდენობასთან;
2. ზედამხედველობას დაქვემდებარებული გაკოტრებული ინსტიტუტების რაოდენობისა და აქტივების შეფარდება, შესაბამისად, ზედამხედველობას დაქვემდებარებულ ინსტიტუტების რაოდენობასთან და აქტივებთან.
3. გარდა ზემოაღნიშნული რაოდენობრივი კრიტერიუმებისა, მანდატის შესრულების გაზომვა, ასევე, შესაძლებელია ხარისხობრივი ინდიკატორებით, მათ შორის საერთაშორისო ორგანიზაციების² და ფინანსურ სექტორთან დაკავშირებულ რეფორმებზე საერთაშორისო სარეიტინგო ორგანიზაციების³ მიერ გაკეთებული შეფასებებით.

საზედამხედველო რეჟიმი და პრინციპები

საზედამხედველო მანდატისა და სტრატეგიის შესრულების მიზნით, ეროვნული ბანკი საფინანსო სექტორის ზედამხედველობასა და რეგულირებას რისკზე დაფუძნებული ზედამხედველობის შემდეგი პრინციპების დაცვით წარმართავს:

- **მატერიალურ რისკებზე კონცენტრირება** - რისკებზე მათი მატერიალურობის პროპორციულად ფოკუსირება, კერძოდ, ისეთ რისკებზე კონცენტრაცია, რომლებიც ფინანსური სექტორის სტაბილურობას ან დეპოზიტორების, კრედიტორებისა და ინვესტორების ფინანსური სახსრების დაცულობას (კანონმდებლობით განსაზღვრული შესაბამისი რიგითობის გათვალისწინებით) ყველაზე არსებით საფრთხეს უქმნის;
- **მომავალზე ორიენტირებული მიდგომა** - საფინანსო სექტორის საფრთხეებისა და პრობლემების ადრეულ ეტაპზე იდენტიფიცირება და მათ აღმოსაფხვრელად სათანადო მაკორექტირებელი ღონისძიებების დროული გამოყენება;
- **რეგულირებად ფინანსურ ინსტიტუტებთან დიალოგი**- აღნიშნული საშუალებას აძლევს ზედამხედველს, გაეცნოს ფინანსური ინსტიტუტის შიდა კულტურას, სტრატეგიასა და მოდივაციას, ხელს უწყობს სამეთვალყურეო საბჭოსა და დირექტორატის მხრიდან შიდა კონტროლის მექანიზმების გაძლიერებას, და, ასევე, რისკების მართვის დახვეწას.
- **მიკრო და მაკროპრუდენციული ზედამხედველობის კოორდინაცია** - ზედამხედველობის პროცესში მიკროპრუდენციული ანალიზისას ჯამურად ფინანსური

² მაგალითად, ფინანსური სექტორის შეფასების პროგრამა (FSAP), რომელიც საერთაშორისო სავალუტო ფონდისა (IMF) და მსოფლიო ბანკის (World Bank) ერთობლივი მისიით წარდება.

³ მაგალითად, Fitch, Moody's, Standard and Poor's -ის ანგარიშებში მოცემული ეროვნული ბანკის რეფორმების შეფასებები.

სექტორის მიმდინარე სისტემური ხასიათის რისკების, მათი შემცირებისკენ მიმართული ღონისძიებების, ბიზნეს და საკრედიტო ციკლებისა და მაკროპრუდენციული პოლიტიკის სხვა საკითხების გათვალისწინება.

- **თანმიმდევრულობა, შესაბამისობა და თავსებადობა** - ფინანსური ინსტიტუციებისთვის დაწესებულ მოთხოვნებს შორის შესაბამისობის უზრუნველყოფა, ერთნაირი მახასიათებლების მქონე ინსტიტუტებთან დაკავშირებული გადაწყვეტილებების მიღების პროცესებში ერთგვაროვანი მოთხოვნებისა და მიდგომების გამოყენება, რისკებზე პროპორციული რეაგირება.
- **შიდა რესურსების ეფექტიანი გამოყენება** - რისკებზე დაფუძნებული საზედამხებდველო პროცესი და პრინციპებზე დაფუძნებული რეგულირება გულისხმობს საზედამხებდველო რესურსების ყველაზე ეფექტიან გამოყენებასა და წესებთან შესაბამისობის პასიური შეფასების პროცესის ნაცვლად რისკებსა და მათი მიდიგაციის პრაქტიკულ გზებზე ფოკუსირებას.

ხედვა ინოვაციებთან დაკავშირებით

ფინანსური ინოვაციების სწრაფი განვითარება და რისკების შემცირება ხშირად შეიძლება ერთმანეთს ეწინააღმდეგებოდეს. ეროვნული ბანკის ხედვა ფინანსურ სტაბილურობასთან დაკავშირებით გულისხმობს ფინანსური ბაზრის განვითარებასა და რისკებს შორის ოპტიმალური ბალანსის გაუმჯობესებაზე მუდმივ ზრუნვას. აღნიშნული ხედვის განსახორციელებლად, ეროვნული ბანკი შემდეგი პრინციპებით ხელმძღვანელობს:

- **რისკების მიმართ ტექნოლოგიური ნეიტრალურობა** - საზედამხებდველო მიდგომა რისკების მიმართ ტექნოლოგიურად ნეიტრალურია. ეროვნული ბანკისათვის მნიშვნელოვანია, შეფასდეს, რა გავლენა აქვს თითოეულ გადაწყვეტას ფინანსურ სტაბილურობაზე მიუხედავად იმისა, რა სახის ტექნოლოგიური საშუალებება იქნა გამოყენებული. ერთსა და იმავე რისკზე ერთნაირი საზედამხებდველო მოთხოვნა ვრცელდება, მიუხედავად იმისა, თუ რა სახის ტექნოლოგიურ პროცესს ეფუძნება ფინანსური ინსტიტუტის ბიზნეს-მოდელი.
- **ღია რეგულირება** - საზედამხებდველო მიდგომა ღიაა ახალი იდეებისა და ინიციატივების მიმართ, რომლებიც ფინანსური ბაზრის განვითარების მიზნებს ემსახურება და, ამასთან, არ ზრდის ფინანსური სტაბილურობისა და სისტემის რისკს. ნებისმიერ პირს, რომლის ინოვაციურ იდეას შესაძლოა აფერხებდეს ეროვნული ბანკის საზედამხებდველო ტექნიკა, რეგულირების გასავითარებლად შეუძლია საერთაშორისო პრაქტიკასა და ადგილობრივ ფაქტებზე დაფუძნებული დასაბუთების წარმოდგენა. ამ მიზნით, ეროვნული ბანკი იყენებს შემდეგ მეთოდებს: ფინანსურ

ინსტიტუტებთან დიალოგი, რეგულირების ღია საჯარო კონსულტაციები, ფინანსური ინოვაციების ოფისი და რეგულირების ლაბორატორია.

□ **უცნობი რისკების შესწავლა** - ახალი ფინანსური ტექნოლოგიების რისკი და პოტენციური გავლენა ხშირად უცნობია, განსაკუთრებით საწყის ეტაპზე. რისკებზე ორიენტირებული მიდგომა ასეთი ტექნოლოგიის გამოყენების საშუალებას არ იძლევა. რისკის დასადგენად ეროვნულ ბანკს შეუძლია რეგულირების ლაბორატორიის გამოყენება. აღნიშნული გულისხმობს ეროვნული ბანკის მიერ განსაზღვრულ კონტროლირებად გარემოში ფინანსურ ინსტიტუტის მიერ სხვადასხვა ტესტის ჩატარებასა და შედეგების ზედამხედველთან განხილვას. რეგულირების ლაბორატორია ძირითადად ორიენტირებულია სისტემური რისკების გამოვლენაზე.

ზემოაღნიშნული მიდგომისა და პრინციპების მნიშვნელობა, განსაკუთრებით COVID-19-ის შედეგად განვითარებული მოვლენების გამო, იზრდება. მათი დანერგვა უზრუნველყოფს დისტანციური არხების განვითარებას, რაც COVID-19-ის გამოწვევებს პასუხობს და საფინანსო მომსახურების უსაფრთხოდ მიღების შესაძლებლობას იძლევა. აღსანიშნავია, რომ ფინანსურ ინოვაციებისა და ტექნოლოგიების განვითარების პროცესებში ეროვნული ბანკი აქტიურად თანამშრომლობს სექტორის წარმომადგენლებთან და სფეროს ექსპერტებთან.

ფასეულობები

საზედამხედველო მანდადისა და სტრადეგიის შესრულების პროცესში თითოეული ზედამხედველი მოქმედებს შემდეგი ფასეულობების დაცვით:

პროფესიონალიზმი

სფეროს სიღრმისეული ცოდნა და განვითარებისკენ სწრაფვა

- დაკისრებული ფუნქციებისა და მოვალეობების მაღალი ხარისხით შესრულება;
- გადაწყვეტილებების მიღება სრულყოფილი და ღრმა ანალიზის შედეგად;
- მიღებული გადაწყვეტილების პაცივისცემა და შესრულება;
- დროული და პრაქტიკული შედეგების მიღწევა, ასევე, იმის უზრუნველყოფა, რომ კონკრეტული გადაწყვეტილების შედეგად მიღებული სარგებელი განეულ დანახარჯებს აჭარბებდეს.

კეთილსინდისიერება

შესაბამისობა აღიარებულ სოციალურ, ეთიკურ და პროფესიულ სტანდარტებთან

- უფლებამოსილების დაბალანსებული და სამართლიანი გამოყენება;
- მიუკერძოებლობა გადაწყვეტილებების მიღებისას და მოვალეობების შესრულებისას;
- კონფიდენციალურობის დაცვა;

თანამშრომლობა

დაინტერესებულ მხარეებთან სანდო და საიმედო ურთიერთობების ჩამოყალიბების უნარი

- სხვების შეხედულებების პაცივისცემა და დაფასება, როგორც ეროვნული ბანკის შიგნით, ასევე მის გარეთ;
- კოლეგების დახმარება და მათთან თანამშრომლობა მათ მიერ ჯანსაღი გადაწყვეტილებებისა და წარმადებული შედეგების მიღების მიზნით;

გუნდურობა

მუშაობა საერთო მიზნის მისაღწევად

- გუნდის მიზნების შეთანხმებულად განსაზღვრა და მისიის გუნდურად შესრულების აღიარება;
- რესურსების მობილიზება საერთო მიზნის გარშემო და საერთო საქმის შედეგებზე ორიენტირება;
- ეფექტური მუშაობა გუნდში, გუნდის წევრების ნდობა ერთმანეთის მიმართ, მხარდაჭერა და სამუშაო პროცესში კომფორტის შექმნა;

გამჭვირვალობა

ღიაობა რეგულირებად სუბიექტებთან, სხვა დაინტერესებულ მხარეებსა და საზოგადოებასთან კანონმდებლობით განსაზღვრული კონფიდენციალურობის პრინციპის დაცვით

- შეფასებებისა და შენიშვნების მიღება, დამუშავება და შესაბამისი კორექტირებების განხორციელება;
- საჯარო ინფორმაციასთან ნებისმიერი დაინტერესებული მხარის დაშვება კანონმდებლობით დადგენილი წესით;


ანგარიშვალდებულება

საკუთარ გადაწყვეტილებებსა და შედეგებზე პასუხისმგებლობა

- რთული გადაწყვეტილებებისა და ქმედებების განხორციელების აუცილებლობის შემთხვევაში, მსგავსი გადაწყვეტილებების მიღება;
- იმავე ან იმაზე უფრო მაღალი სტანდარტებით მოქმედება, რითაც ხელმძღვანელობენ რეგულირებადი სუბიექტები;
- კრიტიკული შენიშვნების მიმღებლობა და სწრაფი რეაგირება საკუთარ საქმიანობაში აღმოჩენილ ხარვეზებზე.

საოპერაციო მოდელი


საზედამხედველო ფუნქციის საოპერაციო მოდელი



საოპერაციო გარემოს ახალი გამოწვევები


ქვემოთ ჩამოთვლილი, საოპერაციო გარემოსთვის დამახასიათებელი ახალი ტენდენციები და გამოწვევები გავლენას ახდენს საფინანსო სექტორზე და, შესაბამისად, საზედამხებდველო სტრატეგიაზე.

კორონავირუსი




- კორონავირუსის უარყოფითი გავლენა ეკონომიკაზე;
- ფინანსური ინსტიტუტების შემცირებული რისკის აპეტიტი სესხების გაცემაზე;
- უმოქმედო სესხების პოტენციური ზრდა;
- დისდანციური არხების გამოყენების გაზრდილი მნიშვნელობა.

არაფინანსური რისკები



- ფინანსური ინსტიტუტების კორპორატიული სოციალური პასუხისმგებლობის მიმართ გაზრდილი მოლოდინები;
- გარემოსდაცვითი, სოციალური, მმართველობითი (ESG) რისკების, მათ შორის გენდერულ თანასწორობასთან, კლიმადის ცვლილებასთან დაკავშირებული რისკების ზრდა;
- გაზრდილი დამოკიდებულება ინფორმაციულ ტექნოლოგიებზე და კიბერუსაფრთხოების გაზრდილი რისკები.

ცვლილებები ინდუსტრიაში



- მომგებიანობის მარჯების შემცირება და მოსალოდნელი ცვლილებები ბიზნეს მოდელში;
- კონკურენციის ზრდის პარალელურად ფინანსური ინსტიტუტების მიერ ინოვაციების გამოყენების ზრდა;
- ფინანსური, საზედამხებდველო და რეგულაციური ტექნოლოგიების, ხელოვნური ინტელექტის გამოყენების ზრდა, ცვლილებები ფინანსური შუამავლების როლში, მყისიერი ელექტრონული გადახდების და ცენტრალური ბანკების ციფრული ვალუტების განვითარება.

პოლიტიკური გარემო




- პოლიტიკური ცვალებადობის გავლენა ფინანსური ინსტიტუტების საქმიანობისა და ეროვნული ბანკის სამომავლო სტრატეგიაზე;
- დამოუკიდებლობის პრინციპის დაცვით, მთავრობასთან და პარლამენტთან უფრო მჭიდრო თანამშრომლობის საჭიროება.

გლობალიზაცია



- ფინანსური ინსტიტუტებისა და საბანკო ჯგუფების გაფართოების სტრატეგიები ქვეყნის ფარგლებს გარეთ;
- ასოცირების შეთანხმებით განსაზღვრულ დირექტივებთან და ბაზელის კომიტეტის სტანდარტებთან დაახლოების პროცესები;
- ბაზელის საკონსულტაციო ჯგუფის, აღმოსავლეთ და ცენტრალური ევროპის საბანკო ზედამხედველობის ჯგუფისა და სხვა ორგანიზაციების წევრობა;
- ფინანსური აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტებთან დაახლოების საჭიროება.
- მოწინავე და სანდო უცხოური ფინანსური ინსტიტუტების ბაზარზე შემოსვლის პერსპექტივები;
- ეროვნული ბანკის მიერ ვირტუალური ვალუტის გამოცემის პერსპექტივები.

თანამშრომლობითი კულტურა



- სინერგიისა და ინფორმაციის გაცვლითი კულტურის ამაღლების მოლოდინებისა და საჭიროებების ზრდა;
- ქვეყნის სხვადასხვა ინსტიტუტთან, მათ შორის, კონკურენციის სააგენტოსთან, პერსონალურ მონაცემთა დაცვის სააგენტოსთან, აუდიტორებთან, სამინისტროებთან, პარლამენტთან და ა.შ. თანამშრომლობის გაღრმავების საჭიროება;
- ქვეყნის ფარგლებს გარეთ თანამშრომლობის გაღრმავების საჭიროება: სხვადასხვა ქვეყნის საზედამხედველო ორგანოსთან მემორანდუმის გაფორმება, საერთაშორისო ჯგუფების წევრობა.

ნაწილი II

ეროვნული ბანკის 2020-2022 წლების სტრატეგიული
საზედამხედველო პრიორიტეტები



სტრატეგიული პრიორიტეტები

ლიდერობის და ინიციატივების წამახალისებელი კორპორატიული კულტურის გაძლიერება

■ ლიდერობის კულტურის გაძლიერება და ინიციატივების წახალისება

- საზედამხედველო თემატიკის მრავალმხრივი რაკურსით განხილვის მიზნით, ახალი ინიციატივების წახალისება ყველა რგოლის თანამშრომლებში.
- ლიდერობის კულტურის გაძლიერება თანამშრომლების უფლებამოსილების და მათზე დაკისრებული პასუხისმგებლობების ზრდით. ამ მიზნით, შესაბამისი პოლიტიკა-პროცედურების შემუშავება.
- თანამშრომლობისა და ინფორმაციის გაცვლის, შიდა ტრენინგებისა და სწავლების (coaching) კულტურის წახალისება.

■ რისკების მართვის შეფასების გაძლიერება

- ზედამხედველების მიერ რისკების იდენტიფიცირებისა და პრობლემებზე საპასუხო გამოსავლების რეგულირებადი სუბიექტებისგან შეთავაზების პრაქტიკის წახალისება.
- რეგულირებადი სუბიექტების რეგულაციებთან შესაბამისობის შემოწმების პარალელურად, რისკების მართვის ხარისხობრივი შეფასების გაძლიერება.

■ ზედამხედველების უფლებამოსილების ზრდა და გაძლიერება

- რეგულირებას დაქვემდებარებულ სუბიექტებთან, მათ შორის, სუბიექტების უმაღლეს მენეჯმენტთან, სამეთვალყურეო საბჭოსთან, საბჭოს დამოუკიდებელ წევრებთან და კომიტეტებთან კომუნიკაციის პროცესში ზედამხედველის როლის, პასუხისმგებლობებისა და ანგარიშვალდებულებების მაქსიმალური ზრდა.
- ზედამხედველობის პროცესში გამოვლენილ გამოწვევებზე საპასუხოდ სამუშაო ჯგუფების შექმნისა და გადაწყვეტილებების ერთობლივად მიღების წახალისება.

■ თანამშრომელთა საქმიანობის შეფასების სისტემის განვითარება

- თანამშრომელთა შეფასების დანერგვა, რომელიც მოიცავს როგორც მენეჯერების მიერ თანამშრომელთა, ისე თანამშრომლების მიერ მენეჯერების შეფასებას.
- თანამშრომელთა მოდივაციის, წახალისებისა და აღიარების კულტურის გაძლიერება საქმიანობის ყველა ეტაპზე.

■ ცალანდების მოზიდვა და შენარჩუნება

- ზრდასა და განვითარებაზე მოდივირებულ თანამშრომელთა აყვანის პროგრამის დანერგვა.
- არსებულ თანამშრომელთა პროფესიული კმაყოფილების უზრუნველყოფა და მათი შენარჩუნება.
- შესაბამისი უნარების გაუმჯობესებისთვის საჭირო საგანმანათლებლო პროგრამებში მონაწილეობის შესაძლებლობების ზრდა.

სტრატეგიული პრიორიტეტები

დაინტერესებულ მხარეებთან თანამშრომლობის გაძლიერება

■ კომუნიკაციის არხების გაუმჯობესება

- საზედამხედველო მიმართულებით საჯაროობის ზრდა, მათ შორის, ზედამხედველობასთან დაკავშირებული ნორმატიული აქტების პროექტების გამოქვეყნებისა და კონსულტაციების პრაქტიკის გაუმჯობესება.
- ეროვნული ბანკის ოფიციალური ვებ-გვერდის დახვეწა.
- საზედამხედველო სტრატეგიის გამოქვეყნების, სექტორის წარმომადგენლებთან და დარგის ექსპერტებთან წარდგენის პრაქტიკის დანერგვა.
- საჯარო პროფესიონალურ ფორუმებსა და დისკუსიებში მონაწილეობა.
- კვლევითი და ანალიტიკური ნაშრომების გამოქვეყნება.

■ სინერგიის მიღწევის მიზნით, ეროვნულ ბანკში თანამშრომლობის, შეფასებისა და გადაწყვეტილებების მიღების ჩარჩოს დახვეწა

- ფინანსური სექტორის კომპლექსურობის ზრდასთან ერთად, ეროვნული ბანკის არსებულ სტრუქტურულ ერთეულებს შორის (საბანკო და არასაბანკო, ფასიანი ქაღალდების ბაზრებისა და საგადახდო სისტემის ზედამხედველობის, სპეც-რისკების, პოლიტიკის, ფულის გათვთრების ინსპექტირების, ფინანსური სტაბილურობის და სხვა) ინფორმაციის მიმოცვლის პრაქტიკის გაუმჯობესება.
- ინფორმაციის გაცვლასთან დაკავშირებული შიდა პოლიტიკა-პროცედურების მიღება/დახვეწა.
- საზედამხედველო შეფასებებისა და გადაწყვეტილებების მიღების პროცესების ფორმალიზება, რაც, მათ შორის, მოიცავს საზედამხედველო გეგმების დამტკიცების, ფინანსური სექტორის კომიციისა და სხვა ჩართული ერთეულების როლების განსაზღვრას.
- რისკების შეფასების საერთო პროგრამის (GRAPE) დოკუმენტის განახლება, რაც მათ შორის გულისხმობს როგორც სახელმძღვანელოს განახლებას, ასევე, შეფასების პროცესების ფორმალიზაციას და შიდა პროცედურის შემუშავებას, რომელიც დეტალურად განსაზღვრავს პროცესის მიმდინარეობას, ჩართულ სტრუქტურულ ერთეულებსა და ვადებს და გადაწყვეტილებების მიღების პროცესებს.
- მაქსიმალური სინერგიის უზრუნველყოფის მიზნით, ეფექტიანი ორგანიზაციული სტრუქტურის უზრუნველყოფა.

■ დაინტერესებულ მხარეებთან პირდაპირი კომუნიკაციის გააქტიურება

- პირდაპირი კომუნიკაციის გაღრმავება ზედამხედველობას დაქვემდებარებულ სუბიექტებსა და დაინტერესებულ მხარეებთან, გარე აუდიტორებთან, საჯარო დაწესებულებებთან, სხვა ქვეყნების ზედამხედველებსა და საერთაშორისო ორგანიზაციებთან.
- ქვეყნის შიგნით ინსტიტუტებთან თანამშრომლობის გაღრმავება (მათ შორის, საქართველოს კონკურენციის სააგენტო, პერსონალურ მონაცემთა დაცვის სააგენტო, სამინისტროები, პარლამენტი და სხვა), მათ შორის ურთიერთშეთანხმების მემორანდუმების გაფორმება შესაბამის უწყებებთან.
- ეროვნულ ბანკში რეგისტრაციისა თუ ლიცენზიის მიღების მსურველი პირებისათვის ინფორმაციის მარტივად ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა.

სტრატეგიული პრიორიტეტები

საფინანსო სექტორის მდგრადი ფუნქციონირების ხელშეწყობა

■ საზედამხედველო პრაქტიკის ინსტიტუციონალიზაცია

- კომერციული ბანკების მსგავსად, ზედამხედველობას დაქვემდებარებული სხვა სუბიექტების ზედამხედველობის რეჟიმის პროპორციული გადაყვანა რისკზე დაფუძნებულ პრინციპებზე.
- რისკების შეფასების პრაქტიკისა და საზედამხედველო პოლიტიკის პროპორციულად გავრცელება კომერციული ბანკების მსგავსად ზედამხედველობას დაქვემდებარებულ სხვა სუბიექტებზე.
- ეროვნული ბანკის შიდა პოლიტიკა-პროცედურების გაუმჯობესება რისკზე დაფუძნებული ზედამხედველობისა და პრინციპებზე დაფუძნებული რეგულირების შესაბამისად, კერძოდ, რისკების შეფასების საერთო პროგრამის (GRAPE) სახელმძღვანელოს განახლება და რისკების შეფასების საერთო პროგრამის (GRAPE) შიდა პროცედურის შემუშავება, რომელიც დეტალურად განსაზღვრავს პროცესის მიმდინარეობას, ჩართულ სტრუქტურულ ერთეულებსა და ვადებს და გადაწყვეტილებებები მიღების პროცესებს.
- საზედამხედველო გადაწყვეტილებების მიღების პროცესში მმართველობის გაძლიერება, პროცესში ჩართული თანამშრომლების როლების ზრდა, ანგარიშვალდებულების ჩარჩოს დახვეწა და პროცესის ოპტიმიზაცია.
- საზედამხედველო ინფორმაციის დამუშავების პროცესებისა და ინსტრუმენტების გაუმჯობესება.
- სექტორული კვლევების მომზადება.

■ საზედამხედველო კაპიტალის სტანდარტების დახვეწა კომერციული ბანკებისათვის

- საზედამხედველო კაპიტალის ხარისხის ზრდა და კაპიტალთან დაკავშირებული სტანდარტების დახვეწა:
 - კომერციული ბანკებისთვის საზედამხედველო კაპიტალის ხარისხის ზრდა ეკონომიკის ციკლურობისა და ფინანსური სფეროს გათვალისწინებით.
 - კაპიტალის ინსტრუმენტების კრიტერიუმების დახვეწა მათ მიერ ზარალების შთანთქმის ფუნქციის გაძლიერების მიზნით.
- რისკის მიხედვით შეწონილი აქტივების მიდგომების განახლება, მათ შორის საკრედიტო რისკის შეწონვის სტანდარტიზებული მიდგომის განახლება, საოპერაციო რისკის მიხედვით შეწონილი აქტივებისთვის, საბაზრო რისკის მიხედვით შეწონილი აქტივებისათვის და კონტრაგენტთან დაკავშირებული საკრედიტო რისკისთვის დამატებითი მეთოდოლოგიის შემოღება⁴.
- სექტორული კონტრციკლური კაპიტალის ბუფერის შემოღება არაჰეჯირებული მსესხებლებისთვის.
- სტრეს-ტესტების სახელმძღვანელოს განახლება განახლებული დარეზერვების წესის მიხედვით

⁴ აღნიშნული ცვლილება და მისი შესრულების ვადები წარმოდგენილი იქნება 2023-2025 წლების სტრატეგიის ფარგლებში

■ გაჯანსაღებისა და რეზოლუციის ჩარჩოს ელემენტების განვითარება

- კომერციული ბანკების მიერ შემუშავებული გაჯანსაღების გეგმების სრული ვერსიების შეფასება და სექტორთან კომუნიკაცია;
- პირველი რეზოლუციის გეგმების შემდგომი განვითარება ოპერაციული გამართვის მიმართულებით;
- საერთაშორისო სავალუტო ფონდისა და მსოფლიო ბანკის ერთობლივი მისიის ფარგლებში (FSAP) მიღებულ რეკომენდაციებზე მუშაობა,
- გაჯანსაღება და რეზოლუციის ჩარჩოს მიმართულებით საუკეთესო საერთაშორისო მიდგომების კვლევა
- გაჯანსაღებისა და რეზოლუციის პროცესებთან დაკავშირებით დაინტერესებულ მხარეებთან (ბანკები, სარეგისტრაციო კომპანიები, უწყებათაშორისო ფინანსური სტაბილურობის კომიტეტი, ინვესტორები და სხვა) თანამშრომლობის გაძლიერება.

■ კორპორაციული მართვისა და რისკების მართვის ეფექტიანი ფუნქციონირების ხელშეწყობა

- სამეთვალყურეო საბჭოებში დამოუკიდებელი წევრების როლის გაძლიერება და მათი დამოუკიდებლობის შეფასების პრაქტიკების გაუმჯობესება.
- ინტერესთა კონფლიქტთან დაკავშირებული საკითხების დახვეწა.
- ზედამხედველობას დაქვემდებარებულ სუბიექტებში რისკების მართვის გაძლიერების ხელშეწყობა, შიდა აუდიტორების გაძლიერება და მათთან თანამშრომლობის ჩარჩოს ჩამოყალიბება.
- კომერციული ბანკების საკრედიტო რისკების მართვის გაუმჯობესების მიზნით:
 - საკრედიტო რისკების მართვის დებულებების შემუშავება და მასში ძირითადი პრინციპების განსაზღვრა.
 - კრედიტების კონცენტრაციისა და მსხვილი რისკების შესახებ განახლებული დებულებების შესაბამისად, ურთიერთდაკავშირებულ მსესხებელთა ჯგუფების განსაზღვრის თაობაზე პოლიტიკის შემუშავება და პრაქტიკაში დანერგვა.
 - არაჯერირებული სავალუტო საკრედიტო რისკის ბუფერის (CICR) ჰეჯირების გაიდლაინისა და ანგარიშგების განახლება
 - დეველოპერებისა და მშენებლობის პროცესში არსებული უძრავი ქონების გაიდლაინის დახვეწა და გასაჯაროება.
- საოპერაციო და კიბერ-რისკების მართვის გაუმჯობესების მიზნით:
 - საოპერაციო და კიბერ-რისკების ინფორმაციის ანალიზისა და გაზიარების ცენტრის შექმნა.
 - ღრუბლოვანი გამოთვლითი მოდელის საზედამხედველო პრინციპების განსაზღვრა.
 - საინფორმაციო სისტემების აუდიტორთა კრიტერიუმების განსაზღვრა
 - ბიზნეს უწყვეტობის მართვის დეტალური მოთხოვნების განსაზღვრა.
- კომერციული ბანკებისთვის მონაცემთა ხარისხის მართვის მოთხოვნების დაწესება

■ არაფინანსური რისკების მართვის სტანდარტების გაძლიერება

- გარემოსდაცვითი, სოციალური და მმართველობითი (ESG) სტანდარტების, მათ შორის, კლიმატის ცვლილებასთან დაკავშირებული რისკების მართვისა და სხვა კორპორაციულ სოციალურ პასუხისმგებლობასთან (CSR) დაკავშირებული სტანდარტების გათვალისწინება საზედამხედველო პროცესებში, მათ შორის კორპორაციული მართვის კოდექსში და შეფასებაში.
- არაფინანსურ რისკებთან მიმართებაში ცნობიერების ზრდის ხელშეწყობა როგორც ეროვნული ბანკის შიგნით, ისე ზედამხედველობას დაქვემდებარებულ სუბიექტებში.

- ფინანსური ორგანიზაციების მიერ სესხის/კრედიტის ამოღებასთან დაკავშირებული ეთიკის კოდექსის მიღება.

■ **არასაბანკო დაწესებულებების საზედამხედველო ჩარჩოს დახვეწა და განვითარება**

- ახალი ციპის საფინანსო ინსტიტუტის - მიკრო ბანკების საზედამხედველო ჩარჩოს დანერგვა.
- ფაქტორინგული ოპერაციების განმახორციელებელი პირებისა და სალიზინგო კომპანიების ეროვნული ბანკის რეგულირების დაქვემდებარებაში მოქცევა და ამ მიზნით შესაბამისი საზედამხედველო ჩარჩოს შემუშავება. საჯარო უწყებებთან თანამშრომლობა ფაქტორინგული ოპერაციებისთვის ერთიანი ელექტრონული ბაზის და გარიგებების პლატფორმის შექმნის მიზნით.
- მიკროსაფინანსო ორგანიზაციების დროებითი ადმინისტრაციის რეჟიმის ჩარჩოს დანერგვა.
- მიკროსაფინანსო ორგანიზაციებისთვის გადახდისუნარობისა და გაკოდრების სპეციალური კანონმდებლობის შემუშავება.
- მიკროსაფინანსო ორგანიზაციებისთვის საოპერაციო რისკების, კიბერუსაფრთხოებისა და კორპორაციული მართვასთან დაკავშირებული მოთხოვნების შემუშავება.
- ვალუტის გადამცვლელი პუნქტების მარეგულირებელი ჩარჩოს დახვეწა. უნაღდო ვალუტის გადამცვლელი პუნქტების მარეგულირებელი ჩარჩოს შემუშავება.

სტრატეგიული პრიორიტეტები

საერთაშორისო სტანდარტებთან დაახლოება⁵

■ ასოცირების შესახებ შეთანხმებით განსაზღვრულ დირექტივებთან დაახლოება⁶

- საკრედიტო ინსტიტუტების საქმიანობისა და კაპიტალის ადეკვატურობის შესახებ დირექტივა და რეგულაცია⁷, მათ შორის:
 - ადმინისტრაციის და აქციონერების შესაფერისობის კრიტერიუმების დახვეწა;
 - საბანკო ლიცენზირებისა და კომერციული ბანკის მნიშვნელოვანი წილის შეძენის ჩარჩოს დახვეწა;
 - კონსოლიდირებული ზედამხედველობის წესის მიღება.
- ფინანსური კონგლომერატების დამატებითი ზედამხედველობის შესახებ დირექტივა.
- სამომხმარებლო კრედიტების შესახებ და დისკანციური მარკეტინგის შესახებ დირექტივები.

■ ადგილობრივი ბუღალტრული აღრიცხვის სტანდარტების გადაყვანა საერთაშორისო ბუღალტრული აღრიცხვისა და ფინანსური ანგარიშგების სტანდარტებზე

- კომერციულ ბანკებთან თანამშრომლობით, კომერციული ბანკებისათვის ფინანსური აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტებზე დაფუძნებული ანგარიშგების ფორმების დანერგვა.
- გარე აუდიტორებთან თანამშრომლობა ეფექტური კომუნიკაციის ჩარჩოს საფუძველზე და მათი დამოუკიდებლობის ხელშეწყობა/უზრუნველყოფა.
- აქტივების კლასიფიკაციისა და დარეზერვების წესის განახლება (IFRS-თან შესაბამისობის გაუმჯობესება) და შესაბამისი სამუშაოების ჩატარება (მათ შორის რაოდენობრივი შეფასება (QIS)).
- 2022 წლის განმავლობაში ეროვნულ ბანკთან პარალელურ რეპორტირებაზე დაკვირვება, რომელიც გულისხმობს ადგილობრივი აღრიცხვის სტანდარტებით ანგარიშგების გაგრძელებას არსებული პრინციპების მიხედვით და დამატებით IFRS სტანდარტებზე დაფუძნებული ანგარიშგების ფორმების მიღებას.
- IFRS 9-ზე დაფუძნებული საზედამხედველო დარეზერვების მეთოდოლოგიის დანერგვის მონიტორინგი და ხელშეწყობა, მათ შორის რაოდენობრივი ეფექტების შეფასება (QIS).
- საზედამხედველო კოეფიციენტებისათვის დამატებითი ბუფერის შემუშავება.

■ საბანკო ზედამხედველობის ბაზელის კომიტეტის სტანდარტების დანერგვა

- ეფექტიანი საბანკო ზედამხედველობის ძირითად პრინციპებთან მაღალი ხარისხის შესაბამისობის მიღწევა და FSAP-ის ფარგლებში მიღებული რეკომენდაციების შესრულება.
- კაპიტალის ადეკვატურობის სტანდარტების ბაზელის კომიტეტის რეკომენდაციებთან შესაბამისობაში მოყვანის უზრუნველყოფა.
- ბაზელის სხვა სტანდარტების პროპორციულად⁸ შემოღება.

⁵ აღნიშნული პრიორიტეტები ჩამოთვლილ სტანდარტებთან დაახლოება გულისხმობს მათი შემოღების პროცესში ქვეყნის კონტექსტის, პროპორციულობის და რელევანტურობის გათვალისწინებას.

⁶ დოკუმენტი არ მოიცავს ფასიანი ქაღალდების ბაზრის წარმომადგენელთა და საგადახდო მომსახურების პროვაიდერების ზედამხედველობასთან დაკავშირებულ საკითხებს. შესაბამისად, დოკუმენტში მოცემული არ არის ზემოაღნიშნულ საკითხებთან დაკავშირებული დირექტივები და რეგულაციები.

⁷ საზედამხედველო კაპიტალის სტანდარტების დახვეწის ასპექტები იხ. საფინანსო სექტორის მდგრადი ფუნქციონირების ხელშეწყობის სტრატეგიულ პრიორიტეტში.

⁸ ბაზელის სტანდარტების უმრავლესობა გლობალურად სისტემურ ბანკებს შეეხება, თუმცა განსაზღვრავს პროპორციულობის პრინციპს, რომელიც გულისხმობს აღნიშნული სტანდარტების უფრო მცირე და ნაკლებ კომპლექსური ბანკებისთვის მორგებას.

■ კონკურენციის იმპლემენტაციისა და ხელშეწყობის პოლიტიკის დახვეწა და განვითარება

- კონკურენციის შესახებ კანონის საფუძველზე გამოცემული კონკურენციის იმპლემენტაციასთან დაკავშირებული სტანდარტების შესაბამისი კანონქვემდებარე ნორმატიული აქტების შემუშავება და გამოცემა კომერციული ბანკებისთვის, რომლებიც მათ შორის მოიცავს შემდეგ სტანდარტებს:
 - ბაზრის ანალიზისა და კონცენტრაციის შესახებ შეფასებების წარდგენისა და მისი განხილვის წესებსა და პროცედურებს.
 - კონკურენციის შესაძლო დარღვევასთან დაკავშირებული საქმის მოკვლევის, საჩივრის/განცხადების წარდგენისა და განხილვის წესებს.
- საბანკო ჯგუფებში ჯვარედინი გაყიდვების, ჯგუფის წევრებს შორის ტრანზაქციებისა და ინტერესთა კონფლიქტის საკითხებთან დაკავშირებული სხვა საკითხების მონიტორინგის გაძლიერება.
- კონკურენციის ხელშეწყობის პოლიტიკის დახვეწა და განვითარება, მათ შორის, მდგრადი ფინანსური ტექნოლოგიების ეკოსისტემის ელემენტების დახვეწისა და განვითარების გზით (იხ. მდგრადი ფინანსური ტექნოლოგიების ეკოსისტემის განვითარების სტრატეგიული პრიორიტეტის ამოცანები)

სტრატეგიული პრიორიტეტები

მდგრადი ფინანსური ტექნოლოგიების ეკოსისტემის განვითარება

■ ღია საზედამხედველო მიდგომები

- ღია რეგულირების პრინციპების განვითარება, ახალი მიდგომების განხილვისა და მათი კონტროლირებად გარემოში ტესტირებისათვის მზაობა.
- რისკებზე ორიენტირებული პრინციპების ახალ ტექნოლოგიებზე გავრცელება.
- ფინანსური ინოვაციების ოფისის, როგორც ფინანსური ინოვაციების საზოგადოებასთან მთავარი კომუნიკაციის არხის, განვითარება.
- ინოვაციური ბიზნეს-მოდელების მქონე სუბიექტების საფინანსო ბაზარზე შემოსვლის ბარიერების შემსუბუქება.
- ფინანსური ინოვაციების საზოგადოების კონსოლიდირება და განვითარების ხელშეწყობა.
- პროგრესულ საზედამხედველო საზოგადოებასთან თანამშრომლობა და გამოცდილების გაზიარება.

■ ღია ბანკინგის განვითარება

- ფინანსური სექტორის მომხმარებლის საჭიროებების გათვალისწინებით, სხვადასხვა ფინანსური ინსტიტუტების სერვისების ერთმანეთთან ინტეგრირების შესაძლებლობის წახალისება. მომხმარებლის მიერ პირადი ფინანსური მონაცემების გამოყენებისა და კონტროლის შესაძლებლობების გაზრდა.
- ღია აპლიკაციის პროგრამირების ინტერფეისის (OpenAPI) გამოყენების ხელისშეწყობა, როგორც საბანკო სივრცეში, ასევე, მის გარეთ.
- ელექტრონულ სივრცეში ფინანსური ინფორმაციისა და სერვისების დინამიური სტანდარტიზაცია.
- მანქანურად წაკითხვადი მონაცემების განვითარება.

■ ციფრული ბანკინგის განვითარება

- ფინანსურ სერვისებზე წვდომის გაზრდისათვის, ტექნოლოგიური შესაძლებლობების გამოყენება და ციფრული საბანკო არხების განვითარების ხელშეწყობა.
- ციფრული ბანკის ლიცენზირების ჩარჩოს შემუშავება.
- საბანკო სერვისების ელექტრონული არხებით მიწოდების ხელშეწყობა.
- ღრუბლოვანი არქიტექტურის მონაცემთა შენახვის და დამუშავების მდგრადი განვითარება.
- მოდულარული საბანკო მოდელის განვითარება.
- ციფრული ბანკისთვის კიბერუსაფრთხოების ჩარჩოს განვითარება.

■ რეგულირების ლაბორატორია

- უცნობი რისკების შესასწავლად კონტროლირებადი გარემოს შექმნა და რეგულირების ლაბორატორიის გამოყენება, მათ შორის, არარეგულირებულ სუბიექტებთან მიმართებით.
- სხვადასხვა ტექნოლოგიის რისკების გამოცდის ჩარჩოს შემუშავება.
- ცდების შედეგების ანალიზი და, საჭიროების შემთხვევაში, მათი საზედამხედველო ჩარჩოში და მიდგომებში ასახვა.

- გლობალური რეგულირების ლაბორატორიის შექმნის ინიციატივის ფარგლებში სხვა ქვეყნის ზედამხედველებთან თანამშრომლობა.
- რეგულირების ლაბორატორიის გამოყენების არეალის გაფართოება.

■ ეროვნულ ბანკში მონაცემთა ანალიზისა და სუპტექის (SupTech) განვითარების ხელშეწყობა

- მონაცემთა ანალიზის გაუმჯობესების ხელშეწყობა, მათ შორის, სუპტექ ინსტრუმენტების მეშვეობით.
- საკრედიტო რეესტრის განვითარება. მონაცემთა ხარისხის გაუმჯობესება და საზედამხედველო ფორმების ოპტიმიზებისათვის გამოყენება.
- მეგა მონაცემების (BigData) მოდელირება და მისი საზედამხედველო პროცესში გამოყენება.
- XBRL (Extensible Business Reporting Language) მონაცემთა გაცვლის სტანდარტზე საზედამხედველო ინფორმაციის გადაცანა.
- რისკის ანალიტიკური ცხრილების (ე.წ. dashboards) განვითარება.

■ მოდელის განვითარება

- ფინანსებზე წვდომის გასაუმჯობესებლად მონაცემთა დამუშავების ხელშეწყობა მანქანური სწავლებისა და ხელოვნური ინტელექტის მოდელების განვითარება, განსაკუთრებით საცალო სექტორისათვის.
- სტატისტიკური და ხელოვნური ინტელექტის მოდელების მდგრადი განვითარებისათვის საზედამხედველო ჩარჩოს შექმნა.
- მოდელების ეთიკური გამოყენების პრინციპების განვითარება.
- მოდელების პროდუქციული გამოყენებისათვის ხელსაყრელი ნიადაგის შექმნა, მათ შორის, მონაცემთა ხარისხის ამაღლებითა და ღია ბანკინგის განვითარებით.
- IFRS 9-ის მიზნებისათვის მოდელების ხარისხობრივი მაჩვენებლების, შედარებითობის და თავსებადობის გაუმჯობესება. საკრედიტო რეესტრის მონაცემების მეშვეობით IFRS მოდელებისათვის საზედამხედველო სეგმენტური მაჩვენებლების განსაზღვრა.

■ საგადახდო სისტემების მოდერნიზაცია

- ცენტრალური ბანკის ციფრული ვალუტა:
 - ციფრული ტექნოლოგიების განვითარების ფონზე ფინანსური პროდუქტები და მათი მომხმარებელამდე მიწოდების არხები გადააზრებას მოითხოვს, რაც ხშირად რადიკალური ცვლილებების საჭიროებას წარმოაჩენს. ბოლო წლებში კერძო თოკენიზირებული ფულის განვითარება არსებული ნაღდი და უნაღდო ფულის ტექნოლოგიების შემდგომი განვითარების საჭიროებას უსვამს ხაზს. ცენტრალური ბანკის ციფრული ვალუტა ფულის უძველესი ტექნოლოგიის ევოლუციის ერთ-ერთი თანამედროვე კანდიდატია.
 - ადგილობრივი ბაზრის თავისებურების გათვალისწინებით, ცენტრალური ბანკის ციფრული ვალუტის სხვადასხვა ტექნოლოგიებს დანერგვის შესაძლებლობების მოკვლევა.
 - ცენტრალური ბანკის ციფრული ვალუტის მოთხოვნების ჩამოყალიბება და საჯარო განხილვების დაწყება. საერთაშორისო დონორ ორგანიზაციებთან და ტექნოლოგიურ ფირმებთან კონსულტაციების დაწყება.

- ცენტრალური ბანკის ციფრული ვალუტის შესაძლო რისკების შესწავლა, მიდიგაციის ღონისძიებების შემუშავება. დანერგვის პროცესში რეგულირების ლაბორატორიის ინსტრუმენტის გამოყენების შესაძლებლობის შესწავლა.
- მყისიერი გადახდების სისტემის დანერგვა
 - ახალი, მყისიერი და უწყვეტი (24/7) გადახდების სისტემის ჩამოყალიბება, რაც საფინანსო სექტორში ინოვაციური ეკოსისტემის გაძლიერებას შეუწყობს ხელს;
 - საგადახდო სისტემების ინფრასტრუქტურა, რომელიც, ერთი მხრივ, ხელს შეუწყობს დახმარების პროგრამების გაძლიერებას მცირე ზომის საწარმოებისთვის, ხოლო, მეორე მხრივ, აღნიშნული საწარმოებისთვის გაზრდის ფულად სახსრებზე ხელმისაწვდომობას.
- ევროპის და სხვა პარტნიორ ქვეყნებთან საგადახდო სისტემების ინტეგრაციის პოტენციალის გამოკვლევა

საზედამხედველო სტრატეგიის შესრულების რისკები

საზედამხედველო სტრატეგიის მომზადებასთან ერთად მნიშვნელოვანია იმ რისკების იდენტიფიცირება, რომლებმაც შესაძლოა, გამოიწვიოს სტრატეგიის შეუსრულებლობა ან მოდიფიცირება, მათ შორის, აღსანიშნავია შემდეგი რისკები:

- ფორსმაჟორული სიტუაციების ან ეროვნული ბანკისათვის მოულოდნელი სხვა გარე ფაქტორებით გამოწვეული ისეთი სახის ცვლილებები პრიორიტეტებში, რომლებიც არ იყო გათვალისწინებული საზედამხედველო სტრატეგიაში;
- სტრატეგიის აღსრულებისთვის საჭირო აუცილებელი თანამშრომლების მოზიდვისა და შენარჩუნების რისკები;
- ეროვნული ბანკის ინფრასტრუქტურის (შენობა და ტექნოლოგიები, მათ შორის, უსაფრთხოება, კონფიდენციალური ინფორმაციის ხელმისაწვდომობა) იმგვარი ხარვეზები/დაზიანება ან არქონა, რაც აფერხებს ეროვნული ბანკის ნორმალური საქმიანობის პროცესებს.

ეროვნული ბანკის დინამიკური საოპერაციო გარემოსთვის დამახასიათებელმა ტენდენციებმა, გამოწვევებმა⁹ და ზემოაღნიშნულმა რისკებმა, შესაძლოა, გარკვეული გავლენა იქონიოს ამ დოკუმენტით განსაზღვრულ პრიორიტეტებზე, დაგეგმილ ცვლილებებსა და მათი შესრულებისთვის განსაზღვრულ ვადებზე. ასეთ გამოწვევებზე სათანადო რეაგირებისა და საზედამხედველო მანდადის ეფექტურად შესრულების მიზნით, ეროვნული ბანკი იცოვებს უფლებას შეცვალოს/დააკორექტიროს აღნიშნული პრიორიტეტები ან/და მათი შესრულების ვადები.

⁹ იხ. გვ.10 საოპერაციო გარემოს ახალი გამოწვევები

სტრატეგიის განახლების პერიოდულობა

საზედამხედველო სტრატეგიის დოკუმენტი განახლდება ყოველწლიურად. აღნიშნული გულისხმობს არა საზედამხედველო პრიორიტეტების ყოველწლიურ ცვლილებას, არამედ აღნიშნული პრიორიტეტების მიღწევის გეგმის/ვადების შესაძლო ცვლილებებს, რათა ეფექტურად მოხდეს საზედამხედველო მანდატისა და მისიის შესრულება.

ცვლილებების გეგმა


ცვლილებების გეგმით განსაზღვრულ სტანდარტებსა და რეგულაციებს ეროვნული ბანკის საზედამხედველო ჩარჩო უმეტესწილად უკვე მოიცავს. თუმცა, საერთაშორისო საუკეთესო პრაქტიკებისა და სტანდარტების მუდმივი დახვეწისა და მსოფლიო და ადგილობრივი ტენდენციების ცვლილებების პარალელურად, ეროვნული ბანკი მუდმივად ანახლებს და სრულყოფს ზედამხედველობასთან დაკავშირებულ მარეგულირებელ ჩარჩოს. აღნიშნული ცვლილებების გეგმა, მათ შორის სწორედ საზედამხედველო ჩარჩოს დახვეწისა და განახლებების მიმართულებებსა და შესაბამის ვადებსაც განსაზღვრავს.

ეროვნული ბანკის საზედამხედველო პრიორიტეტები 3 წლის (2020-2022 წლების) განმავლობაში უცვლელი იქნება. აქვე აღსანიშნავია, რომ სტრატეგიის ყოველწლიური დოკუმენტი განსაკუთრებულ აქცენტს აკეთებს მომდევნო 12-18 თვის პერიოდში დაგეგმილ საზედამხედველო პრიორიტეტების ძირითად ამოცანებზე და ცვლილებებზე. ეს ერთი მხრივ ხელს უწყობს პროაქტიულად მივანოდოთ მიმდინარე პრიორიტეტების შესახებ ინფორმაცია დაინტერესებულ მხარეებს და, მეორე მხრივ, გვეხმარება მაქსიმალურად ეფექტურად დაიგეგმოს ეროვნული ბანკის მხრიდან პრიორიტეტების შესრულებისთვის საჭირო სამუშაოები.


გამოყენებული ნიშნულების განმარტება:

-  ცვლილების მიღების ვადა
-  ცვლილების ქვეკომპონენტის მიღების ვადა
-  მიღებული ცვლილება
-  ცვლილების მიღებული ქვეკომპონენტი


2020				2021				2022			
Q1	Q2	Q3	Q4	Q1	Q2	Q3	Q4	Q1	Q2	Q3	Q4
რეზოლუციის ჩარჩოს დანერგვა											
 რეზოლუციის სტრუქტურული ერთეულის შექმნა სეზ-ში											
 სეზ-ის რეზოლუციის კომიტეტის შექმნა და შესაბამისი წესის მიღება											
 კომერციული ბანკის კრიტიკული ფუნქციების განსაზღვრისა და შეფასების წესი გაჭანსაღების გეგმის შემუშავებასთან დაკავშირებული წესები ფინანსური სტაბილურობის უწყებათაშორისი კომიტეტის შექმნა და დებულების მიღება ბანკის აქტივებისა და ვალდებულებების ღირებულების შეფასების წესები დროებითი ბანკის ლიცენზირების წესი რეზოლუციის რეჟიმში მყოფი კომერციული ბანკის მნიშვნელოვანი წილის შეძენის პროცედურები											
 სარეზოლუციო გეგმასთან დაკავშირებული წესები დროებითი ბანკის მართვასა და საქმიანოებასთან დაკავშირებული დამატებითი მოთხოვნები ბოლო ინსტანციის სასხის გაცემის წესის, უზრუნველყოფილს ფორმისა და პირობების განსაზღვრა საქართველოს ფინანსთა სამინისტროსთან ერთად ერთობლივი სამართლებრივი აქტების გამოცემა სარეზოლუციო ფონდის შექმნის, ადმინისტრირებისა და დროებითი სახელმწიფო დაფინანსების გაცემის წესი სარეზოლუციო ფონდში შენატანის დაკისრების კრიტერიუმებისა და განხორციელების წესი სპეციალური მმართველის დანიშვნის წესი კომერციული ბანკის ვალდებულებების ჩამოწერის ან კონვერტაციის გზით რეკაპიტალიზაციის ინსტრუმენტის წესები ახალი აქტივების გამოშვების გზით რეკაპიტალიზაციის პირობების დადგენა დროებითი ადმინისტრატორის უფლებამოსილებებისა და დანიშვნის წესის განსაზღვრა											




* აღნიშნული ცვლილება და მისი შესრულების ვადები წარმოდგენილი იქნება 2023-2025 წლების სტრატეგიის ფარგლებში




2020				2021				2022			
Q1	Q2	Q3	Q4	Q1	Q2	Q3	Q4	Q1	Q2	Q3	Q4
არასაბანკო დაწესებულებების საზედამხედველო ჩარჩოს დახვეწა და განვითარება											
ახალი ტიპის არასაბანკო ინსტიტუტების ჩარჩოს განვითარება ახალი საფინანსო ინსტიტუტის - მიკრო ბანკის ჩარჩოს და შესაბამისი ნორმატიული ბაზის შემუშავება ფაქტორინგული ოპერაციების განმახორციელებელი პირების რეგულირების ქვეშ მოქცევა და შესაბამისი მოთხოვნების შემუშავება სალიზინგო კომპანიების რეგულირების ქვეშ მოქცევა და შესაბამისი ნორმატიული ბაზის შემუშავება											
მიკროსაფინანსო ორგანიზაციებისთვის საზედამხედველო ჩარჩოს გაუმჯობესება საკანონმდებლო ცვლილებების გზით დროებითი ადმინისტრაციის რეჟიმის შემოღება მიკროსაფინანსო ორგანიზაციებისთვის მიკროსაფინანსო ორგანიზაციებისთვის გადახდისუნარიობის/გაკოტრების სპეციალური კანონმდებლობის შემუშავება საოპერაციო რისკებისა და კიბერუსაფრთხოების მოთხოვნების შემუშავება მიკროსაფინანსო ორგანიზაციებისთვის კორპორაციულ მართვასთან დაკავშირებული მოთხოვნების შემუშავება მიკროსაფინანსო ორგანიზაციებისთვის											
ვალუტის გადამცვლელი პუნქტებისათვის საზედამხედველო ჩარჩოს დახვეწა საოპერაციო მოთხოვნების გაუმჯობესება ვალუტის გადამცვლელი პუნქტებისათვის ვალუტის გადამცვლელი პუნქტების მიმართ ფულადი ჯარიმების განსაზღვრის წესში ცვლილებების განხორციელება უნაღდო ვალუტის გადამცვლელი პუნქტების მარეგულირებელი ჩარჩოს შემუშავება											
სესხის გამცემი სუბიექტების საზედამხედველო და მარეგულირებელი ჩარჩოს გამდიდრება											



* აღნიშნული ცვლილება და მისი შესრულების ვადები წარმოდგენილი იქნება 2023-2025 წლების სტრატეგიის ფარგლებში





დანართი:

2021 წლის მნიშვნელოვანი მოვლენები, რეფორმები და სტრატეგიის შესრულების ანგარიში

2021 წელს ეროვნულმა ბანკმა, ამავე წლის სტრატეგიით განსაზღვრული ცვლილებების გეგმის მიხედვით, არაერთი მნიშვნელოვანი პროექტი და რეფორმა განახორციელა, რომლებიც, თავის მხრივ, ეხმიანებოდა დასახულ სტრატეგიულ პრიორიტეტებს. უფრო კონკრეტულად, აღნიშნული მოიცავდა ქვემოთ ჩამოთვლილ მიმართულებებს.

ლიდერობისა და ინიციატივების წამახალისებელი კულტურის გაძლიერება

- 2021 წელს ეროვნულ ბანკში აქტიურად გრძელდებოდა სხვადასხვა აქტუალური საკითხების თემატური სამუშაო ჯგუფების ფორმადში განხილვები, რაც, მათ შორის, მოიცავს კონკურენციის საკითხებთან დაკავშირებით შექმნილ სამუშაო ჯგუფს, სახალხო დაფინანსების¹⁰ პლატფორმის შესაძლებლობებზე მოკვლევისა და საზედამხედველო ანგარიშგებების ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტებზე (IFRS) გადასვლის ჯგუფებს.
- თანამშრომლობისა და ინფორმაციის გაცვლის კულტურის წახალისებისათვის, სისტემური რისკების შეფასების შედეგების გაზიარების პარალელურად, 2021 წელს გრძელდებოდა ზედამედველებთან ერთად ყოველკვარცალური განხილვების პრაქტიკა.
- ზედამხედველებთან საერთაშორისო საზედამხედველო პრაქტიკის სიახლეების, ცვლილებებისა და ცენდენციების, მათ შორის, რეპუტაციული ცენტრალური ბანკების სტრატეგიის დოკუმენტების, საერთაშორისო სტანდარტების დამწესებელი ორგანიზაციების (მაგ. ბაზელის კომიტეტი, ევროპის ცენტრალური ბანკი და სხვა) პრიორიტეტებისა და ყოველთვიური სიახლეების გაცნობის მიზნით ყოველთვიური ბიულეტენის სახით ინფორმაციის მიწოდების პრაქტიკა 2021 წელს წარმატებით გაგრძელდა და მნიშვნელოვანი და სასიკეთო სიახლე აღმოჩნდა შესაბამისი საზედამხედველო ფუნქციებისთვის.

აქვე, აღსანიშნავია, რომ ეროვნული ბანკის მიერ დაგეგმილი სამუშაოები და აქტივობები, რომლებიც თანამშრომლების ჩართულობის, ლიდერობისა და ინიციატივების წახალისებას სხვა აქტივობებს შეუწყობდა ხელს, გარკვეული ხნით შეფერხდა კოვიდ-19 პანდემიის და თანმდევი შეზღუდვების გამო. ეროვნული ბანკის აქცენტი 2020 წლის განმავლობაში უფრო მეტად არსებული პრაქტიკის შენარჩუნებაზე იყო ორიენტირებული, თუმცა, 2021 წლიდან ეროვნულმა ბანკმა


¹⁰ ე.წ. crowdfunding

თანდათანობით განაგრძო მნიშვნელოვანი გაუმჯობესებებისა და ინიციატივების განხორციელება, რაც, რასაკვირველია, მომდევნო წლებშიც გაგრძელდება.

დაინტერესებულ მხარეებთან თანამშრომლობის გაძლიერება

- სტრატეგიის გამოქვეყნებასთან ერთად, ეროვნულმა ბანკმა დანერგა სტრატეგიის დოკუმენტის წარდგენის პრაქტიკა, კერძოდ, ეროვნულმა ბანკმა 2020-2022 წლების საზედამხედველო სტრატეგიის 2021 წლის გამოცემა საფინანსო სექტორის წარმომადგენლებსა და ეკონომიკის დარგის ექსპერტებთან წარადგინა და დეტალურად გააცნო საზედამხედველო პრიორიტეტები და ეროვნული ბანკის დაგეგმილი რეფორმები.

პრეზენტაცია შეგიძლიათ იხილოთ აქ:



აღსანიშნავია, რომ გარდა სტრატეგიის დოკუმენტის გამოქვეყნებისა, სტრატეგიის გაცნობითი ხასიათის ღონისძიებებს რეგულარული ხასიათი ექნება.

- საჯარო კონსულდაციების გამართვის მიზნით, ეროვნული ბანკის ვებ-გვერდზე ზედამხედველობასთან დაკავშირებული არაერთი ცვლილებისა თუ რეგულაციის პროექტი გამოქვეყნდა, რომლებზეც ფართო საზოგადოებას შენიშვნებისა და რეკომენდაციების გაზიარების შესაძლებლობა მიეცა. აღსანიშნავია, რომ ეროვნული ბანკი მომავალშიც განაგრძობს ნორმატიული აქტების პროექტების გამოქვეყნებას, ვებ-გვერდის განახლებასთან ერთად აღნიშნული პროცესი უფრო მეტად დაიხვეწება და შესაბამისობაში მოვა ამ კუთხით არსებულ საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკასთან.
- ეროვნული ბანკის საზედამხედველო მიმართულების წარმომადგენლები 2020-2021 წლების განმავლობაში მონაწილეობდნენ საჯარო პროფესიონალურ ფორუმებსა და დისკუსიებში მათ შორის, ბაზელის საკონსულდაციო ჯგუფის (BCG), ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის საბანკო ზედამხედველების

(BSCEE) ჯგუფი, საერთაშორესო სავალუტო ფონდისა (IMF) და მსოფლიო ბანკის (WB) პლატფორმებზე. გარდა ამისა, აქტიურად მიმდინარეობდა რეგიონის ქვეყნების ზედამხედველებთან თანამშრომლობა როგორც ეროვნული ბანკის, ისე კოლეგა ზედამხედველების ინიციატივით, ცოდნისა და გამოცდილების გასაზიარებლად. მათ შორის, იყო გლობალური ფინტექ ფორუმი - Global Impact FinTech (GIFT), რომელიც ფინტექის მიმართულებით მსოფლიოში ყველაზე მსხვილი, მრავალფეროვანი და ინკლუზიური ფორუმია, რომელიც ეკოსისტემის ლიდერებს 60 ქვეყნიდან აერთიანებს და რომელიც, მათ შორის, საქართველოს ეროვნული ბანკის მხარდაჭერით გაიმართა. ფორუმის ფარგლებში მიმოიხილეს ღია და ინკლუზიური ფინანსები, გლობალური ფინტექ ეკოსისტემები და პოლიტიკის ჩარჩოები, ქალი ლიდერები ფინტექში და ა.შ. (იხ. პრეს-რელიზი).

- აღსანიშნავია 2021 წლის განმავლობაში, სინერგიის მიღწევის მიზნით, ეროვნულ ბანკში შიდა თანამშრომლობის გაღრმავებისა და ინფორმაციის მიმოცვლის პრაქტიკა გაუმჯობესდა. კერძოდ, სხვადასხვა მიმართულებით სამუშაო ჯგუფები შეიქმნა. მაგალითისთვის, 2021 წელს ეროვნული ბანკის მანდატის ქვეშ არსებული კონკურენციის საკითხებისა და ფაქტების შესწავლა სამუშაო ჯგუფების ფორმაცში წარიმართა. იქიდან გამომდინარე, რომ ამ ფორმაციის სამუშაოები უმეტესწილად მაღალ ეფექტურობას აჩვენებს, ეროვნული ბანკი მომავალშიც განაგრძობს სხვადასხვა მიმართულებებისა და საკითხების სამუშაო ჯგუფის ფორმაცში განხილვებს.
- საქართველოში ფინტექის ეკოსისტემის განვითარების თემას მიეძღვნა აგრეთვე ფორუმიც, რომელსაც USAID-ის ეკონომიკური უსაფრთხოების პროგრამამ საქართველოს ეროვნულ ბანკთან და ინოვაციებისა და ტექნოლოგიების სააგენტოსთან პარტნიორობით უმასპინძლა. ღონისძიების ფარგლებში გაიმართა პრეზენტაციები და დისკუსია პროგრამის მიგნებებსა და საქართველოს ეროვნული ბანკის გეგმებზე, ფინტექის სექტორის განვითარების შესაძლებლობებსა და პოტენციური კოლაბორაციის პლატფორმების შეთავაზებებზე. ფორუმის მიზანი ქვეყანაში ფინტექის შესაძლებლობების გამოვლენა იყო ადგილობრივი ბაზრის ზრდის ხელშეწყობის მიზნით (იხ. პრეს-რელიზი). ასევე აღსანიშნავია, რომ 2021 წელს საქართველოს ეროვნულ ბანკს ავტორიტეტული საერთაშორისო გამოცემა Central Banking-ის საზაფხულო შეხვედრების ფარგლებში ორი ჯილდო გადაეცა - წლის საუკეთესო რისკმენეჯერისა და ყველაზე გამჭვირვალე ცენტრალური ბანკის ნომინაციებში. გამჭვირვალობის ნომინაცია სამ მნიშვნელოვან კომპონენტს მოიცავდა - განათლება, გამჭვირვალობა დაინტერესებულ მხარეებთან ურთიერთობისას და კომუნიკაცია მრავალფეროვანი საკომუნიკაციო პლატფორმების მეშვეობით (იხ. პრეს-რელიზი).
- 2021 წლის განმავლობაში საზედამხედველო მანდატისა და სტრატეგიული პრიორიტეტების ეფექტიანად შესრულების მიზნით, ეროვნული ბანკი

თანამშრომლობდა ზედამხედველობას დაქვემდებარებული სუბიექტებთან, საბანკო ასოციაციასთან, გარე აუდიტორებთან, საჯარო დაწესებულებებთან, მედია საშუალებებთან, სხვა ქვეყნების ზედამხედველებთან და საერთაშორისო ორგანიზაციებთან.

- გაიზარდა თანამშრომლობა ქვეყნის შიგნით სხვადასხვა საჯარო ინსტიტუტებთან, მათ შორის, კონკურენციის სააგენტოსთან, კომუნიკაციების კომისიასთან, რომლებთან ერთად ეროვნული ბანკი რიგი საზედამხედველო მიმართულებებით თანამშრომლობს. 2021 წელს საქართველოს საზედამხედველო და მარეგულირებელ უწყებებს შორის უწყებათაშორისი ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი გაფორმდა, რომლის მიზანი ანგარიშგებასთან დაკავშირებულ საკითხებზე თანამშრომლობაა. მემორანდუმის ხელმომწერი უწყებები საქართველოს ეროვნული ბანკი, საქართველოს დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახური, საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისია, საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისია და ფინანსთა სამინისტროს ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახური არიან. მემორანდუმი მიზნად ისახავს ზედამხედველობას და რეგულირებას დაქვემდებარებული სუბიექტების თანამშრომლობის გაძლიერებას, რაც ფინანსურ და მმართველობის ანგარიშგებასთან დაკავშირებული საკითხების ერთობლივ განხილვასა და ერთობლივი ინიციატივების განხორციელებას გულისხმობს.
- 2019 წლის ბოლოს ეროვნულ ბანკში ფინანსური ინოვაციების ოფისი შეიქმნა, რომლის მიზანია ფინანსური კომპანიების და ინოვაციური იდეების წახალისება შემდგომში ამ იდეების მდგრად ფინანსურ მოდელად გარდაქმნის ხელშეწყობა. 2021 წლის მანძილზე ინოვაციების ოფისმა 100-ზე მეტ სეზ-ის მიერ რეგულირებად და არარეგულირებად სუბიექტს გაუწია დახმარება.
- ეროვნული ბანკის ოფიციალური ვებგვერდი მნიშვნელოვანი საკომუნიკაციო არხია, რომლის საშუალებითაც ცენტრალური ბანკები ურთიერთობენ და თანამშრომლობენ ფართო საზოგადოების წარმომადგენლებთან და სხვა დაინტერესებულ მხარეებთან. ვებგვერდის დახმარებით, მომხმარებელს შესაძლებლობა აქვს მიიღოს - ობიექტური, სანდო, აკადემიური და მუდმივად განახლებადი ინფორმაცია ეკონომიკაში მიმდინარე ყველაზე მნიშვნელოვან თემებზე. ასევე, ყველა საჭირო ინფორმაცია, რომელიც მომხმარებლებს საკუთარი უფლებების შესახებ ინფორმირებულობის ამაღლებაში დაეხმარება. 2021 წელს ეროვნულმა ბანკმა ოფიციალური ვებგვერდი სრულად განაახლა. ვებგვერდის ახალი ვერსია პასუხობს თანამედროვე ციფრულ მოთხოვნებს და მაქსიმალურად არის მორგებული მომხმარებელზე: აქვს მარტივი ნავიგაცია, გაუმჯობესებული საძიებო სისტემა, მოქნილი უკუკავშირის ფორმა და თავსებადობა.

- ეროვნული ბანკი მუდმივად ცდილობს ცნობიერებისა და ექსპერდიზის ამაღლებას საქმიანობის სხვადასხვა მიმართულებით. 2021 წელს თანამშრომლების მიერ სხვადასხვა ადგილობრივი თუ საერთაშორისო ტრენინგებსა თუ სემინარებში მონაწილეობის გარდა, ეროვნულ ბანკში მსოფლიო ბანკის ექსპერტებმა გამართეს 1-კვირიანი ვორქშოფ სესიები კონკურენციასთან დაკავშირებულ თემებზე როგორც საფინანსო სექტორების წარმომადგენლებისთვის, ისე ეროვნული ბანკის თანამშრომლებისთვის.

საფინანსო სექტორის მდგრადი ფუნქციონირების ხელშეწყობა

- 2021 წელს კომერციული ბანკების მიერ მომზადდა პირველადი გაჯანსაღების გეგმები და წარედგინა ეროვნულ ბანკს, რომელსაც წინ უსწრებდა მხარეებს შორის ინტენსიური კომუნიკაცია და კონსულტაციები. სეზ-ის მიერ გეგმების შესწავლის და განხილვის შემდეგ ბანკებმა მიიღეს უკუკავშირი იმ საკითხებზე, რომელიც მომავალ ვერსიებში ასახვას მოითხოვს. 2022 წელს სექტორის წარმომადგენლები მოამზადებენ გეგმების სრულ ვერსიას. ეროვნული ბანკი საერთაშორისო კვლევების შესაბამისად სექტორს მიაწვდის ინფორმაციას კარგი პრაქტიკების შესახებ და ხელს შეუწყობს კრიზისის მართვის ადრეული მომზადების ინსტრუმენტის ინტეგრაციაში რისკების მართვის ჩარჩოსთან.
- 2021 წელს შემუშავდა პირველადი რეზოლუციის გეგმები სისტემურად მნიშვნელოვანი ბანკებისთვის. განისაზღვრა სარეზოლუციო სტრატეგია და შემაფერხებელი ფაქტორები, რომლის მიდიგანდი სამუშაოები გაგრძელდება მომავალ პერიოდებში საერთაშორისო პარტნიორებისგან მიღებული ტექნიკური დახმარებისა და საერთაშორისო პრაქტიკების კვლევის შესაბამისად.
- საერთაშორისო სავალუტო ფონდისა და მსოფლიო ბანკის ერთობლივი მისიის ფარგლებში (FSAP) მიღებულ რეკომენდაციებზე დაყრდნობით და პრაქტიკაში გამოვლენილი საჭიროებებიდან გამომდინარე, ეროვნული ბანკი აგრძელებს მუშაობას სამართლებრივი ჩარჩოს და სხვა ტექნიკურ-პროცედურული ნაწილის სრულყოფა-განვითარებაზე. ჩარჩოს ტექნიკური ნაწილების განსაზღვრის მიმართულებით ჩატარდა კვლევები და შედეგები აისახა ამოცანების გადაწყვეტაში. აგრეთვე, გარკვეულ პრიორიტეტულ რეკომენდაციებზე მუშაობა დაწყებულია და მოცემული ვადების შესაბამისად გაგრძელდება მომავალ პერიოდებშიც, რა პროცესებშიც საერთაშორისო ექსპერტებიც აქტიურად იქნებიან ჩართულები ტექნიკური დახმარების ფარგლებში.
- 2021 წელს ჩატარდა პირველი უწყებათაშორისი კომიტეტის სხდომა, სადაც გარდა ფინანსური სტაბილურობის შესახებ მოხსენებისა, კომიტეტს წარედგინა ინფორმაცია რეზოლუციის მექანიზმის რეფორმის ძირითად ასპექტებზე, ჩარჩოს იმპლემენტაციის მიმდინარეობასა და ურთიერთქმედების ნაწილში რეზოლუციის კომიტეტისა და უწყებათაშორისი პლატფორმის როლზე. აგრეთვე, მიმოხილვა შეეხო ახალი FSAP-ის ფარგლებში გამოკვეთილ

რეკომენდაციებს, მათ შორის კრიზისისათვის მზაობის გასაძლიერებლად უწყებათაშორისი კოორდინაციის აუცილებლობას.

- გაჯანსაღებისა და რეზოლუციის პროცესებთან დაკავშირებით დაინტერესებულ მხარეებთან თანამშრომლობის გაძლიერების მიმართულებით 2021 წელს განხორციელდა არაერთი აქტივობა, რომელიც მოიცავდა ჩარჩოს ირგვლივ შიდა და გარე კომუნიკაციას. დამატებითი აქტივობები განგრძობით რეჟიმში განხორციელდება მომავალ პერიოდებშიც.
- ეროვნული ბანკი აქტიურად მუშაობს ინტერესთა კონფლიქტის მართვის სტანდარტების დახვეწაზე, რის შედეგადაც ის შესაბამისობაში მოვა „კომერციულ ბანკებში რისკის პოზიციების კონცენტრაციისა და მსხვილი რისკების შესახებ დებულებით“ დადგენილ ლიმიტებთან და მოთხოვნებთან.
- ეროვნულმა ბანკმა 2021 წელს შეიმუშავა ფინანსური ინსტრუმენტების რისკის კატეგორიებისა და მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის განსაზღვრის წესის დრაფტი, რომელთან დაკავშირებითაც ეროვნულმა ბანკმა უკვე გაიარა კონსულტაციები სექტორთან, მსოფლიო ბანკის ექსპერტთან და საერთაშორისო აუდიტორებთან. წესის დამტკიცება 2022 წელს იგეგმება.
- ეროვნული ბანკი ასევე აქტიურად მუშაობს საკრედიტო რისკების მართვის დებულებასა და ძირითადი პრინციპების განსაზღვრაზე, რომლის საჭიროება ადგილობრივი ბუღალტრული აღრიცხვის სტანდარტების საერთაშორისო ბუღალტრული აღრიცხვისა და ფინანსური ანგარიშგების სტანდარტებზე (IFRS) გადაყვანის რეფორმას უკავშირდება. დოკუმენტით მოცული იქნება აქტივების კლასიფიკაციის საკითხები და საკრედიტო რისკების მართვის ძირითადი მნიშვნელოვანი პრინციპები, რასაც რისკების მართვის პროცესებში უნდა ითვალისწინებდნენ ბანკები. დოკუმენტი დაფუძნებულია ბაზელის, ECB, BIS და სხვა საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკებზე.
- მნიშვნელოვანია საოპერაციო და კიბერ-რისკების ინფორმაციის ანალიზისა და გაზიარების ცენტრის შექმნის გეგმაც. საოპერაციო და კიბერრისკის მიმართულებით ერთერთი მთავარი ამოცანაა კრიტიკული და მატერიალური მნიშვნელობის მქონე საოპერაციო მოვლენების/ინციდენტების შესახებ ინფორმაციის დროული ანალიზი და გაზიარება. აღნიშნული პროცესი გადამწყვეტ როლს ასრულებს სისტემური საოპერაციო და კიბერრისკის დროულ და ეფექტიან მართვაში. აქედან გამომდინარე, სებ-ი, როგორც ფინანსური სექტორი მარეგულირებელი, ერთ-ერთ პრიორიტეტად მიიჩნევს ინფორმაციის გაზიარების და ანალიზის პორტალის ჩამოყალიბებას, და სებ-ის ხელის შეწყობით შესაძლებელი იქნება მატერიალური საოპერაციო/კიბერ რისკის მოვლენების შესახებ ინფორმაციის დროული გაზიარება ფინანსურ სექტორში. 2021 წელს სწორედ აღნიშნული რეფორმის ფარგლებში შეიქმნა ინფორმაციის გაცვლის პორტალი, რომელიც ამჟამად ტესტირების რეჟიმშია კომერციულ ბანკებთან.

- 2021 წელს ეროვნულმა ბანკმა კონკურენციასთან დაკავშირებული ორი მნიშვნელოვანი აქტი დაამტკიცა. კერძოდ, „ბაზრის ანალიზისა და კონცენდრაციის შესახებ შეფასებების წარდგენისა და მისი განხილვის წესი“, რომელიც ბაზრის ანალიზის მეთოდებს, კონკურენტული გარემოს შეფასების კრიტერიუმებსა და პარამეტრებს ადგენს, და „კონკურენციის შესაძლო დარღვევასთან დაკავშირებული საქმის მოკვლევის, საჩივრის/განცხადების წარდგენისა და განხილვის წესი“, რომელიც მხარეთა უფლებების დაცვის გარანტიებს, საქმის მოკვლევის ფარგლებში განხორციელებული მოქმედებებისა და გადაწყვეტილების მიღების პროცედურებს ადგენს. აღნიშნული აქტები დოკუმენტები ერთგვარი ინსტრუქციისა და რეგულირების ჩარჩოა როგორც ეროვნული ბანკისთვის, ისე სექტორისთვის. მათში გაწერილია ბაზრის ანალიზის, მათ შორის კონცენდრაციების განხილვის, კონკურენტული გარემოს შეფასების, ბაზრის მონიტორინგის, კონკურენტული გარემოსა თუ კონკურენციის დარღვევის შესაძლო შემთხვევების შეფასებისა და გადაწყვეტილების მიღების თაობაზე წესები და მოთხოვნები. აღსანიშნავია, რომ აღნიშნული წესები კონკურენციის სააგენტოს მიერ შემუშავებულ რეგულაციებსა და საერთაშორისო მოწინავე პრაქტიკებს დაეფუძნა და გარდა საერთაშორისო ექსპერტებისა და ინდუსტრიების წარმომადგენლებისა, პროცესში აქტიურად იყვნენ ჩართული კონკურენციის სააგენტოს წარმომადგენლები. შემუშავებული წესების ეფექტიანად აღსრულებით, მნიშვნელოვნად გაიზრდება ეროვნული ბანკის მიერ კონკურენციასთან დაკავშირებული საქმიანობის და გადაწყვეტილებების ეფექტურობა და გამჭვირვალებობა. აღსანიშნავია, რომ ეროვნული ბანკის მიერ კონკურენციასთან დაკავშირებული გადაწყვეტილებები საჯაროა და ეროვნული ბანკის ოფიციალურ ვებგვერდზე ქვეყნდება, რასაკვირველია, ინფორმაციის კონფიდენციალურობის დაცვით.
- ეროვნული ბანკი აქტიურად მუშაობს საზედამხედველო პრაქტიკის ინსტიტუციონალიზაციაზე, რის ფაგლებშიც, ეროვნულმა ბანკმა მუშაობს რიგ შიდა პოლიტიკა-პროცედურების შემუშავებასა და გაუმჯობესებაზე. აღნიშნულის ფარგლებში ეროვნულმა ბანკმა შეიმუშავა რისკების შეფასების საერთო პროგრამის (GRAPE) შიდა პროცედურა, რომელიც დეტალურად განსაზღვრავს პროცესის მიმდინარეობას, ჩართულ სტრუქტურულ ერთეულებსა და ვადებს და გადაწყვეტილებები მიღების პროცესებს. ამასთან, რისკზე დაფუძნებული ზედამხედველობისა და პრინციპებზე დაფუძნებული რეგულირების შესაბამისად განახლდება რისკების შეფასების საერთო პროგრამის (GRAPE) სახელმძღვანელოც, რომელიც შესაბამისობაში მოვა საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკებთან და გათვალისწინებული იქნება FSAP შეფასებით განსაზღვრული რეკომენდაციები, რომლებიც უფრო ეფექტურსა და გამჭვირვალეს გახდის რისკების შეფასების პროცესებს.
- კომერციულ ბანკებში კორპორაციული მართვის სტანდარდების გაუმჯობესებისა და საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკასთან დაახლოების

მიზნით 2021 წლის თებერვალში ცვლილებები შევიდა „კომერციული ბანკების კორპორაციული მართვის კოდექსში“. ცვლილების საფუძველზე, კოდექსში დაზუსტდება მატერიალური რისკის ამღები პირის განსაზღვრის კრიტერიუმები. სამეთვალყურეო საბჭოს გაძლიერების მიზნით, დაემატება მასზედ დაკისრებული ფუნქცია-მოვალეობების ჩამონათვალი, ხოლო სამეთვალყურეო საბჭოს და მისი წევრების დამოუკიდებლობის უზრუნველყოფის მიზნით, შეიცვლება საბჭოს წევრის დამოუკიდებელ წევრად მიჩნევის ხანგრძლივობა. განხორციელებული ცვლილებების შედეგად, სისტემური მნიშვნელობის მქონე ბანკებში საბჭოს მოეთხოვება დამოუკიდებელი თავმჯდომარის დანიშვნა. გარდა ამისა, სისტემურად მნიშვნელოვანი ბანკებისთვის დაემატება ნომინაციის კომიტეტის შექმნის მოთხოვნა. სამეთვალყურეო საბჭოს კომიტეტებისთვის დაზუსტდება შემადგენლობასთან დაკავშირებული მოთხოვნები. აუდიტის, რისკების და ანაზღაურების კომიტეტების გაძლიერების მიზნით, შესაბამის მუხლში აისახება დამატებითი ფუნქცია-მოვალეობები. ანაზღაურების ჯანსაღი სისტემის უზრუნველსაყოფად, გაფართოვდა და დაკონკრეტდა ანაზღაურების მოთხოვნები. კოდექსში განხორციელებული ცვლილებების საერთო მიზანია ბანკის სამეთვალყურეო საბჭოს, დირექტორატისა და ბანკში არსებული სხვა სტრუქტურული ერთეულების ჯანსაღი ფუნქციონირების უზრუნველყოფა.

■ კომერციული ბანკების მიერ გარემოსდაცვითი, სოციალური და მმართველობითი (ESG) საკითხების თანმიმდევრული, თავსებადი და შედარებადი გამჟღავნების ხელშესაწყობად ეროვნულმა ბანკმა 2021 წლის ივნისში დამატებითი ცვლილებები განახორციელა „კომერციული ბანკების კორპორაციული მართვის კოდექსში“. ასევე, ეროვნულმა ბანკმა დაიწყო „მდგრადი დაფინანსების ანგარიშის“ გამოქვეყნება და შეიმუშავა „ESG საკითხებისა და გამჟღავნების პრინციპები“ და შესაბამისი შაბლონი, რომელზე დაყრდნობითაც 2021 წლის მაისში კომერციულმა ბანკებმა ინფორმაცია გამოაქვეყნეს. ამასთან, ეროვნული ბანკი აგრძელებს ESG სტანდარტებთან დაკავშირებული საერთაშორისო გამოცდილების შესწავლას. ამ მიზნით, 2021 წლის ნოემბერში საქართველოს ეროვნულმა ბანკმა მდგრადი დაფინანსების ონლაინ ფორუმს უმასპინძლა. აღნიშნული ღონისძიება საერთაშორისო საფინანსო კორპორაციასთან (IFC), მსოფლიო ბანკთან და IFC-სთან არსებულ მდგრად საბანკო და საფინანსო ქსელთან (SBFN) თანამშრომლობითა და შვეიცარიის ეკონომიკურ საკითხთა სახელმწიფო სამდივნოს (SECO) მხარდაჭერით გაიმართა.

■ 2021 წლის განმავლობაში, ეროვნული ბანკი მუშაობდა ახალი საზედამხედველო სუბიექტის - მიკრო ბანკისთვის მარეგულირებელი ჩარჩოს შექმნაზე. „მიკრო ბანკების საქმიანობის შესახებ“ საქართველოს კანონის პროექტი და გამომდინარე კანონპროექტები უკვე შემუშავებულია. საკანონმდებლო პაკეტის მიზანს წარმოადგენს საფინანსო სექტორში საშუალო ზომის, სცაბილური ბიზნეს მოდელისა და მაღალი რეპუტაციის მქონე ახალი

ფინანსური ინსტიტუტის შექმნა, სამეწარმეო და სასოფლო-სამეურნეო საქმიანობის დაკრედიტების ხელშეწყობა, კონკურენციის ზრდა და საკრედიტო პროდუქტებზე საპროცენტო განაკვეთების შემცირება.

- მნიშვნელოვანი ცვლილება განხორციელდა ვალუტის გადამცვლელი პუნქტების მიმართ ფულადი ჯარიმების განსაზღვრის წესში. კერძოდ, ცვლილების თანახმად დაჯარიმას შესაძლოა, დაექვემდებაროს არა მარტო ვალუტის გადამცვლელი პუნქტი, არამედ მათი დირექტორებიც. ამასთან, განისაზღვრა დამატებითი ჯარიმის ოდენობები საჯარიმო შემთხვევების განმეორებით დადგომისას.
- სესხის გამცემი სუბიექტების საზედამხედველო და მარეულირებელი ჩარჩოს გაძლიერების კუთხით, აღსანიშნავია, რომ სესხის გამცემი სუბიექტების საოპერაციო გარემოს გაუმჯობესების, გარკვეული სტანდარტებისა და მოთხოვნების განსაზღვრის მიზნით, შესაბამის კანონქვემდებარე აქტებში ცვლილებები განხორციელდება. სექტორში დაგროვილმა ხარვეზებმა აუცილებელი გახდა საერთო სტანდარტების შემუშავება. აღნიშნული ხელს შეუწყობს სესხის გამცემი სუბიექტებისთვის საოპერაციო რისკების შემცირებას, სექტორის უწყვეტ ფუნქციონირებას და კომპანიათა რეპუტაციის ამაღლებას ბაზარზე. ცვლილებები ძირითადად პროგრამული უზრუნველყოფის, ბუღალტრული აღრიცხვის პროგრამისა და ამ პროცესების მიმართ მოთხოვნების დაწესებას ითვალისწინებს. ასევე, უზრუნველყოფილი სესხების გაცემის შემთხვევაში, განისაზღვრება უზრუნველყოფის საგნის (ძვირფასეულობა, ცექნიკა თუ სხვა) მოპყრობისა და შენახვის სტანდარტებიც.
- ეროვნული ბანკმა ფინანსური ორგანიზაციების მიერ სესხის/კრედიტის ამოღებასთან დაკავშირებული ეთიკის პრინციპების განსაზღვრის მიზნით ეთიკის კოდექსის პროექტი შეიმუშავა, რომელიც საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკას დაეფუძნა ადგილობრივი ბაზრის თავისებურებების გათვალისწინებით და რომელიც უახლოეს მომავალში დამტკიცდება. შეგახსენებთ, რომ აღნიშნული ეთიკის კოდექსის პროექტი საჯაროდაც იქნა გამოქვეყნებული დაინტერესებული მხარეებისგან რეკომენდაციებისა და შენიშვნების მიღების მიზნით.
- 2020 წელს ეროვნულმა ბანკმა სცრეს ცესტების მეთოდური სახელმძღვანელო გამოაქვეყნა, რომლის მიზანი სცრესული პერიოდისათვის კომერციული ბანკებისთვის კაპიტალის ადეკვატურობის განსაზღვრის მეთოდოლოგიის, მათ შორის, გამოყენებული სცენარის, დაშვებების და თითოეული რისკის მიმართ გამოსაყენებელი მიდგომების დაინტერესებული მხარეებისთვის გამჟღავნებაა. ამასთან, 2021 და მომავალი წლების მანძილზე ეროვნული ბანკი განაგრძოს მუშაობას სახელმძღვანელოს დახვეწის მიზნით, მათ შორის დარეზერვების ახალი წესის გათვალისწინებით.

საერთაშორისო სტანდარტებთან დაახლოება

- ეროვნული ბანკი ინტენსიურ მუშაობას განაგრძობს ადგილობრივი ბუღალტრული აღრიცხვის სტანდარტების საერთაშორისო ბუღალტრული აღრიცხვისა და ფინანსური ანგარიშგების სტანდარტებზე (IFRS) გადაყვანის მიმართულებით. ამ მიზნით, 2021 წლის მანძილზე გაგრძელდა მუშაობა ეროვნული ბანკთან წარსადგენი ანგარიშგების ფორმების განახლებაზე, რომლებიც შესაბამისობაში მოვიდა IFRS-თან, განახლდა აქციების დარეგულირების წესის პროექტი და ჩამოყალიბდა კაპიტალთან დაკავშირებული საბოლოო მიდგომების მონახაზი
- საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკასთან დაახლოების მიზნით, 2021 წლის განმავლობაში ეროვნული ბანკი განაგრძობდა ადმინისტრაციორთა და აქციონერთა შესაფერისობის კრიტერიუმების ჩარჩოს, ასევე ლიცენზირებისა და მნიშვნელოვანი წილის შეძენის ჩარჩოს დახვეწაზე მუშაობას. ამ ეტაპზე უკვე შემუშავებულია აქციონერთა შესაფერისობის კრიტერიუმების შესახებ წესის პროექტი, ასევე ადმინისტრაციორთა შესაფერისობის შესახებ ეროვნული ბანკის დებულებასა და კომერციული ბანკის ლიცენზირების წესში განსახორციელებელი შესაბამისი ცვლილებები, რომელთა პროექტებიც უახლოეს მომავალში გამოქვეყნდება საკონსულტაციოდ და გაიმართება კონსულტაციები საბანკო სექტორის წარმომადგენლებთან.
- ეროვნული ბანკი აქტიურად მუშაობს სისტემურობის ბუფერის განსაზღვრის მეთოდოლოგიის საერთაშორისო პრაქტიკასთან, მათ შორის საბანკო ზედამხედველობის ბაზელის კომიტეტისა (BCBS-Basel Committee on Banking Supervision) და ევროპის საბანკო უწყების (EBA-European Banking Authority) გამოცემულ მეთოდოლოგიებთან, დაახლოებას.

მდგრადი ფინანსური ტექნოლოგიების ეკოსისტემის განვითარება

- 2019 წლის ბოლოს ეროვნულ ბანკში ფინანსური ინოვაციების ოფისი შეიქმნა, რომლის მიზანია ფინტექ კომპანიების და ინოვაციური იდეების წახალისება შემდგომში ამ იდეების მდგრად ფინანსურ მოდელად გარდაქმნის ხელშეწყობა. 2021 წლის მანძილზე ინოვაციების ოფისმა გაუწია დახმარება 100-ზე მეტ სტარტ-აპსს მიერ რეგულირებად და არარეგულირებად სუბიექტს.
- 2020 წლის მაისში რეგულირების ლაბორატორიის ჩარჩოს შექმნისა და მისი გამოყენების დებულება ამოქმედდა. რეგულირების ლაბორატორია ეროვნული ბანკის საზედამხედველო უფლებამოსილებას დაქვემდებარებულ საფინანსო სექტორის წარმომადგენლებს საშუალებას მისცემს რეალურ რეჟიმში, ზედამხედველის კონტროლირებად გარემოში გამოსცადონ ინოვაციური სერვისები და პროდუქტები. 2021 წელს დასრულდა, რეგულირების

ლაბორატორიის ფარგლებში, დისტანციური იდენტიფიკაციის პროცესზე მუშაობა და დამტკიცდა შესაბამისი დებულება.

- 2021 წელს კომერციულმა ბანკებმა დაიწყეს საკრედიტო რეესტრის ინფორმაციის მიწოდება ეროვნული ბანკისთვის. საკრედიტო რეესტრი ამ ეტაპზე სატესტო ფორმატში მუშაობს და მიმდინარეობს მონაცემების ხარისხის შესწავლა. საკრედიტო რეესტრის მიზანია ზედამხედველობის გაუმჯობესება, დროთა განმავლობაში ანგარიშგების ცვირთის შემსუბუქება კომერციული ბანკებისთვის და შემდგომში მათთვის სისტემის ჯამური მაჩვენებლების გაზიარება.
- 2021 წლის 31 მარტიდან ხელმისაწვდომია ღია ბანკინგით ინფორმაციის მიმოცვლა კომერციულ ბანკებს შორის. რაც გულისხმობს ანგარიშებზე ნაშთების და ანგარიშის ამონაწერის დეტალური ინფორმაციის გაცვლას. 2021 წლის 1 დეკემბრიდან ბანკებმა ხელმისაწვდომი გახადეს გადახდის API ფიზიკური პირებისთვის. 2022 წელს დაგეგმილია იურიდიული პირების ჩართვა გადახდების ინიცირების ნაწილში, დისტანციური იდენტიფიკაციის პროცესის დანერგვა და სტანდარტულ პროდუქტებზე ინფორმაციის გაცვლა. საკანონმდებლო ცვლილებების ძალაში შესვლის შემდეგ კი აღნიშნული მომსახურებების გამოყენება არასაბანკო ინსტიტუტებსაც შეეძლებათ.
- XBRL პორტალი 2021 წლის მარტიდან ფუნქციონირებს. პორტალის მეშვეობით კომერციული ბანკები ეროვნულ ბანკში საზედამხედველო ანგარიშგების ნაწილს XBRL ფორმატით აგზავნიან. XBRL პორტალი ამჟამად არსებული პორტალის თანამედროვე აღტერნაცივია, რომლითაც არსებული სისტემა ჩანაცვლდება და ბანკებს საშუალება ექნებათ ეროვნულ ბანკთან წარსადგენი ანგარიშგებები მისი მეშვეობით მართონ.
- 2020 წლის განმავლობაში ეროვნულმა ბანკმა „მონაცემებზე დაფუძნებული სტადისტიკური, ხელოვნური ინტელექტის და მანქანური სწავლების მოდელების რისკების მართვის დებულება“ დაამტკიცა, რასაც წინ ფინანსური ინსტიტუტების წარმომადგენლებთან და სხვა დაინტერესებულ პირებთან კონსულტაციები უძლოდა. დებულება ძალაში 2021 წლის იანვრიდან შევიდა. ამჟამად მიმდინარეობს დებულების განახლება, რის შედეგაც გაიზრდება მოთხოვნა მოდელების გამჭირვალობის და მიუკერძოებლობის მიმართ. ასევე დაემატება მოთხოვნა მოდელების რისკზე დაფუძნებული კლასიფიკაციის მიმართ.
- ეროვნული ბანკი აქტიურად აგრძელებს მუშაობას ცენტრალური ბანკის ციფრული ვალუდის (CBDC) საპილოტე ვერსიის გამოშვების მიმართულებით. ახალი ფინანსური ტექნოლოგიების გამოყენება შეუწყობს ხელს, საგადახდო სისტემის ეფექტიანობის და ფინანსურ ჩართულობის ზრდას. 2021 წლის მანძილზე ეროვნული ბანკი შეხვდა 80-ზე მეტ სუბიექტს, რომლებიც დაინტერესებული არიან ამ პროექტში ჩართვით. 2022 წლის დასაწყისში სებ-ი

გეგმავს მეცად დეცალური ინფორმაციის გამოქვეყნებას თუ როგორი იქნება CBDC ტექნიკური მოთხოვნები და რა ფუნქციები უნდა გააჩნდეს.

- ეროვნული ბანკი აგრძელებს მუშაობას, საქართველოსა და მსოფლიო ბანკთან გაფორმებული შეთანხმების ფარგლებში ახალი, მყისიერი გადახდების სისტემის ჩამოყალიბებაზე, რაც საფინანსო სექტორში ინოვაციური ეკოსისტემის გაძლიერებას შეუწყობს ხელს, ამასთან მნიშვნელოვან როლს შეასრულებს ეკონომიკის გაციფრულებასა და მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარებაში. პროექტის ფარგლებში განახლდება საგადახდო სისტემების ინფრასტრუქტურა, რომელსაც დამოუკიდებლად განახორციელებს ეროვნული ბანკი, რაც ხელს შეუწყობს, ერთი მხრივ, დახმარების პროგრამების გაძლიერებას მცირე ზომის საწარმოებისთვის, ხოლო, მეორე მხრივ, შეიქმნება სწრაფი გადახდების ახალი სისტემა, რომელიც მათ შორის აღნიშნული საწარმოებისთვის გაზრდის ფულად სახსრებზე ხელმისაწვდომობას. პროექტის დასრულება დაგეგმილია 2022 წლის ბოლომდე.

კორონავირუსის პანდემიის საპასუხო ზომები (2020 წლიდან დღემდე)

აღსანიშნავია, რომ საზედამხედველო სტრატეგიის პირველი დოკუმენტის გამოცემა (2020 წელს) ახალი კორონავირუსის (COVID-19) პანდემიის აქტიურ მიმდინარეობას დაემთხვა, რაც მნიშვნელოვანი სირთულე და გამოწვევა აღმოჩნდა გლობალური ეკონომიკისთვის და, მათ შორის, რასაკვირველია საქართველოსთვისაც. ეროვნულმა ბანკმა პანდემიის დასაწყისშივე დაიწყო მუშაობა კორონავირუსის პანდემიით გამოწვეული გავლენების შემცირების ბერკეტებისა და საჭირო ზომების მიღების მიმართულებით და არსებული გამოწვევების საპასუხოდ არაერთი მნიშვნელოვანი ნაბიჯი გადადგა, რის შედეგადაც ეროვნული ბანკისა და ზედამხედველობას დაქვემდებარებულ სუბიექტებს თავიანთი რესურსების მიმდინარე გამოწვევებზე საპასუხოდ მობილიზების შესაძლებლობა მიეცათ. აღსანიშნავია, რომ COVID-19 პანდემიის მიუხედავად კვლავ უცვლელი დარჩა ეროვნული ბანკის გრძელვადიანი მიზნები და დოკუმენტში წარმოდგენილი სტრატეგიული პრიორიტეტები.

ეროვნული ბანკის მიერ გადადგმული ნაბიჯები და დაგეგმილი საზედამხედველო ღონისძიებები დეცალურად იყო მიმოხილული სტრატეგიის პირველ დოკუმენტში. ეს ღონისძიებები მოიცავდა:

- საბანკო სექტორისათვის კონსერვაციისა და პილარ 2-ის ბუფერის ნაწილის (სავალუტო კურსის ცვლილებით გამოწვეული საკრედიტო რისკის ბუფერის ორი მესამედი) შემცირებას, რამაც საშუალება მისცა საბანკო სექტორს გაეგრძელებინა ეკონომიკის დაკრედიტება. საზედამხედველო კაპიტალის შემცირებული მოთხოვნები ეცაპობრივად გაიზრდება ეკონომიკური მაჩვენებლების გაუმჯობესებისა და პანდემიისგან დამდგარი ნეგატიური ეფექტების ამოწურვის პარალელურად.

- ეკონომიკის დაკრედიცების გაგრძელების მიზნით, საფინანსო სექტორისთვის საჭირო ოდენობის ლიკვიდობის მიწოდებას, რაც გულისხმობდა როგორც არსებული ინსტრუმენტების ფარგლებში, ისე ახალი ინსტრუმენტებით, ლიკვიდობის მიწოდებას.
- ეროვნული ბანკის მხრიდან საკრედიტო პორტფელის ხარისხის პროაქტიულ შეფასებას და მოსალოდნელი საკრედიტო ზარალების აღიარებას. აღნიშნულ მიდგომას ხელი შეუწყო ეროვნული ბანკის წარსული გადაწყვეტილებების შედეგად საბანკო სექტორში დაგროვილმა კაპიტალის ბუფერების კომფორტულმა მოცულობამ. ამავდროულად, ეროვნული ბანკის გადაწყვეტილებით, იმ სესხებზე, რომლებზეც ფინანსურმა ინსტიტუტებმა საშელავათო პერიოდი გაავრცელეს მხოლოდ ამ მიზეზით, არ მომხდარა რისკის პოზიციების დარეზერვება და არ გაზრდილა საზედამხედველო ცვირთი.
- ფინანსური ინსტიტუტებისათვის, საოპერაციო ცვირთის შემსუბუქების მიზნით, ახალი საზედამხედველო მოთხოვნების შემუშავებასა და დაწესებაზე 2020 წლის სექტემბრამდე დროებით მორადორიუმს, რისი მიზანიც ფინანსური ინსტიტუტებისა და ეროვნული ბანკის რესურსების არსებულ გამოწვევებზე საპასუხოდ მაქსიმალური მობილიზება იყოს.
- დისდანციური არხების დანერგვის ინიციატივების წახალისებას.

არსებული საზედამხედველო გეგმის პარალელურად, მნიშვნელოვანია ამ გეგმიდან გამოსვლის სტრატეგია და კაპიტალის ბუფერების აღდგენის გეგმის არსებობა. ამისათვის, ეროვნული ბანკის მიერ შემუშავებული საზედამხედველო გეგმაში თავიდანვე გათვალისწინებული იქნა, ისეთი მექანიზმები, რომელიც კომერციულ ბანკებს კაპიტალის ბუფერების აღდგენის მოტივაციას მისცემდა. კერძოდ, შემსუბუქებული მოთხოვნების დაწესებულ ვადამდე ადრე აღდგენის შემთხვევაში, მოიხსნება ბანკებისთვის კაპიტალის განაწილებაზე დაწესებული შეზღუდვები (დივიდენდის გაცემა, აქციების გამოსყიდვა, წილობრივი ინვესტიციების განხორციელება და ცვალებადი ანაზღაურების ვალდებულების შექმნა მენეჯმენტის ბონუსების გასაცემად).

ეროვნული ბანკი 2021 წელსაც აქტიურად განაგრძობდა COVID-19 პანდემიის გავლენებისა და გამოწვევების შეფასებასა და მათ საზედამხედველო საქმიანობაში გათვალისწინებას, რამდენადაც COVID 19-ის პანდემიას, სამწუხაროდ, 2021 წლის განმავლობაშიც მწვავე ხასიათი ჰქონდა.

როგორც გასული წლის სტრატეგიაშიც აღნიშნულია, COVID 19-ის პანდემიის უარყოფითი ზეგავლენის შერბილების მიზნით, 2020 წლის მარტში საქართველოს ეროვნულმა ბანკმა დროებითი საზედამხედველო გეგმა აამოქმედა, რაც კაპიტალისა და ლიკვიდობის არსებული მოთხოვნების შემცირების საშუალებით კაპიტალისა და ლიკვიდობის ბუფერების ფინანსური სტრესის პერიოდში გამოყენებას გულისხმობდა. კაპიტალის კონსერვაციისა და CICR ბუფერზე

დაწესებული შეღავათების პერიოდში ბანკებს შეზღუდული აქვთ კაპიტალის განაწილება, მათ შორის, დივიდენდის გაცემა, აქციების გამოსყიდვა, წილობრივი ინვესტიციების განხორციელება და ცვალებადი ანაზღაურების ვალდებულების შექმნა მენეჯმენტის ბონუსების გასაცემად. 2021 წლის ივნისში, ფინანსური სტაბილურობის კომიტეტის გადაწყვეტილებით, კრიზისის დასაწყისში გამოთავისუფლებული ბუფერების აღდგენის დაწყების თარიღად 2022 წლის 1 იანვარი გამოცხადდა. ბუფერების აღდგენის პროცესი 2 წელი გაგრძელდება. ბანკებს არაპეჭირებული სავალუტო საკრედიტო რისკის (CICR) ბუფერის აღსადგენად დრო 2023 წლის 1 იანვრამდე, ხოლო კაპიტალის კონსერვაციის ბუფერის მოთხოვნის დასაკმაყოფილებლად კი 2024 წლის 1 იანვრამდე მიეცათ. ეროვნული ბანკის მიერ შემუშავებულ საზედამხებელო გეგმაში თავიდანვე გათვალისწინებული იქნა, ისეთი მექანიზმები, რაც კომერციულ ბანკებს კაპიტალის ბუფერების აღდგენის მოტივაციას მისცემდა. კერძოდ, შემსუბუქებული მოთხოვნების დაწესებულ ვადამდე ადრე აღდგენის შემთხვევაში, მოიხსნება ბანკებისთვის კაპიტალის განაწილებაზე დაწესებული შეზღუდვები (დივიდენდის გაცემა, აქციების გამოსყიდვა, წილობრივი ინვესტიციების განხორციელება და ცვალებადი ანაზღაურების ვალდებულების შექმნა მენეჯმენტის ბონუსების გასაცემად).¹¹

ეროვნული ბანკი აკვირდება მიმდინარე მოვლენებს, მუდმივ კომუნიკაციაშია საფინანსო სექტორთან და საჭიროებისამებრ განაგრძობს საგანგებო ღონისძიებების გატარებას.

რეფორმების შეფასება

ეროვნული ბანკის რეფორმებს საერთაშორისო ორგანიზაციები და პარტნიორები აფასებენ. საერთაშორისო სავალუტო ფონდმა და მსოფლიო ბანკმა 2020-2021 წლებში „ფინანსური სექტორის შეფასების პროგრამა“ (FSAP) განახორციელეს. აღნიშნული მოიცავდა ფინანსური სექტორის სტაბილურობისა და სიჭანსალის, ეროვნული ბანკის მიერ გატარებული რეფორმების, განვითარებისა და ზრდის პერსპექტივების შეფასებასა და, ეროვნული ბანკის საზედამხებელო ჩარჩოს შემდგომი განვითარებისა და დახვეწის კუთხით, რეკომენდაციებს. მისიის მიერ შედგენილი ანგარიშების უმეტესობა უკვე გამოქვეყნდა (იხ. [ბმული](#)), ხოლო ნაწილი ანგარიშებისა უახლოეს მომავალში გამოქვეყნდება. რეკომენდაციების გათვალისწინება ეროვნული ბანკის მიმდინარე და სამომავლო საზედამხებელო პრიორიტეტებსა და გეგმებში აქტიურად მოხდება.

აღსანიშნავია, რომ FSAP მისიამ ცალსახად დადებითად შეაფასა ეროვნული ბანკის მიერ გატარებული პრუდენციული პოლიტიკა და რეფორმები.

საერთაშორისო სარეიტინგო კომპანიამ Fitch Ratings - მა საქართველოს პერსპექტივა უარყოფითიდან სტაბილურამდე გააუმჯობესა, ხოლო სუვერენული

¹¹ აღნიშნულ ზომებზე მეტი დეტალი იხილეთ სებ-ის ვებგვერდზე ([ლინკი](#))

რეიტინგი BB დონეზე შეინარჩუნა. ანგარიშში დადებითად არის შეფასებული საქართველოს ეროვნული ბანკის (სებ) მიერ პანდემიის და სხვა გარე შოკების საპასუხოდ გადარებული ღონისძიებები და ხაზგასმულია, რომ ეროვნული ბანკი მისი უპირველესი მანდატის - ფასების სტაბილურობის - მტკიცედ ერთგული რჩება (იხ. [პრეს-რელიზი](#)).

აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტის მიერ გამოქვეყნებული დოკუმენტი საქართველოს ეროვნული ბანკის საქმიანობას დადებითად აფასებს. ანგარიშში აღნიშნულია: "საერთაშორისო სავალუტო ფონდი, საკრედიტო სარეიტინგო კომპანიები და სხვა საერთაშორისო ორგანიზაციები პოზიტიურად აფასებენ სებ-ის მაკროეკონომიკურ ჩარჩოს და ინფლაციის თარგეთირების რეჟიმს. 2021 წლის მარტში სებ-მა საერთაშორისო გამოცემა Central Banking-ის "გამჭვირვალობის ჭილდო" მიიღო. ამით ხაზი გაესვა საქართველოს ეროვნული ბანკის მონეწარული პოლიტიკის გაუმჯობესებულ კომუნიკაციას, ფინანსურ სტაბილურობას, მომხმარებელთა უფლებების დაცვას და ფინანსურ განათლებას. ამავე გამოცემამ სებ-ი 2020 წლის "რისკების მენეჯერის ჭილდოს" კანდიდატად დაასახელა. აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტის ანგარიშის თანახმად, საბანკო სექტორი საქართველოს ეკონომიკის ერთ-ერთი ყველაზე სწრაფად მზარდი სექტორია. მეზობელი ქვეყნების წინაშე მდგარი რეგიონული და გლობალური სირთულეების მიუხედავად, საქართველოს საბანკო სექტორი კარგად რეგულირებული და კაპიტალიზებულია (იხ. [პრეს-რელიზი](#)).

გამოყენებული ტერმინები

P2P პლატფორმა

პლატფორმა, რომელიც უზრუნველყოფს მსგავსი სუბიექტების ერთმანეთთან დაკავშირებას და მათ შორის ტრანზაქციების განხორციელებას მესამე მხარის გარეშე.

XBRL (Extensible Business Reporting Language)

ბიზნეს ანგარიშგების გაფართოებადი ენა, რომელიც წარმოადგენს საზედამხედველო ანგარიშგებების მიმოცვლის საერთაშორისო სტანდარტს.

ბაჭანსაღების გეგმა

კომერციული ბანკის მიერ შემუშავებული გეგმა, რომელიც სხვა ელემენტებთან ერთად მოიცავს მნიშვნელოვანი ფინანსური სირთულეების შექმნისას კომერციული ბანკის მიერ ფინანსური მდგომარეობის გასაუმჯობესებლად განსახორციელებელ ღონისძიებებს.

კაპიტალის ბუფერები

საზედამხედველო კაპიტალის მოცულობა, რომელიც აჭარბებს საზედამხედველო კაპიტალის მინიმალური მოთხოვნის ოდენობას.

კაპიტალის ინსტრუმენტები

ინსტრუმენტები, რომლებიც აკმაყოფილებენ საზედამხედველო კაპიტალის კრიტერიუმებს.

მაკროპრუდენციული პოლიტიკა

სისტემური რისკების დაგროვების თავიდან აცილების, კრიზისის აღბათობის შემცირებისა და მთლიანი ფინანსური სისტემის სტაბილური ფუნქციონირების ხელშეწყობისთვის შემუშავებული პოლიტიკა და შესაბამისი ღონისძიებები.

მანქანურად წაკითხვადი მონაცემები

მონაცემების წარმოდგენა იმ ფორმით, რომ შესაძლებელი იყოს მისი დამუშავება და აღქმა კომპიუტერული პროგრამის მეშვეობით.

მიკროპრუდენციული პოლიტიკა

ინდივიდუალური ფინანსური ინსტიტუტების მდგრადობის ხელშეწყობის მიზნით გატარებული პოლიტიკა და შესაბამისი ღონისძიებები.

მოდულარული საბანკო მოდელი

საბანკო საქმიანობის მოდელი, რომლის მიხედვითაც საბანკო ინფრასტრუქტურა წარმოდგენილია ცალკეული საქმიანობების მიხედვით ერთმანეთისგან დამოუკიდებელ მოდულებად, რომელთა ჩანაცვლება შედარებით ნაკლებ სირთულეებთან არის დაკავშირებული.

პრუდენციული ფილტრი

საზედამხედველო კორექტირებები, რომელთა მიზანია საზედამხედველო კაპიტალის ან სხვა საზედამხედველო მაჩვენებლების ხარისხის

	შენარჩუნების მიზნით, მათ გაანგარიშებაში ფინანსური აღრიცხვის ჩარჩოსგან განსხვავებული მიდგომების ასახვა.
რეგულირების ლაბორატორია (სანდბოქსი)	ინოვაციური ფინანსური სერვისის ან/და პროდუქტის საცესტო გარემოში გამოსაცდელად შექმნილი პირობებისა და პროცედურის ერთობლიობა.
რეზოლუცია	კომერციული ბანკისათვის ლიცენზიის გაუქმების საფუძვლების დადგომის შემთხვევაში, ლიკვიდაციის ალტერნატივა, რაც გულისხმობს რეგულაციის მიერ კომერციული ბანკის იმგვარად რესტრუქტურისაციას რომ საფრთხე არ შეექმნას ფინანსურ სტაბილურობას.
რისკზე დაფუძნებული ზედამხედველობა/პრინციპები	ზედამხედველობის რეჟიმი/პრინციპები, რომელიც გულისხმობს მეტი საზედამხედველო რესურსის მიმართვას მეტად კომპლექსური ან/და რისკიანი ინსტიტუტებისა თუ ტრანზაქციების მიმართულებით.
რისკის ანალიტიკური ცხრილები (dashboards)	საქმიანობის ძირითადი მაჩვენებლების გრაფიკული გამოსახულება რომელიც ამარტივებს კომპლექსური მონაცემების აღქმას და საშუალებას აძლევს მის მომხმარებელს მარტივად მიიღონ ინფორმაცია ბიზნეს საქმიანობების ან კონკრეტული პროცესების შესახებ.
რისკის აპეტიტის განაცხადი	განაცხადი, რომელიც განსაზღვრავს ორგანიზაციისთვის მისაღებ რისკებს, რომლებიც ემსახურება ორგანიზაციის მიზნების მიღწევას.
რისკის პოზიციები	საბალანსო ან გარესაბალანსო ელემენტები, რომელზეც ფინანსურ ინსტიტუტს აქვს მოთხოვნა.
საზედამხედველო კაპიტალი	კაპიტალი, რომელიც განისაზღვრება ფინანსური ინსტიტუტებისათვის ზედამხედველის მოთხოვნით და ემსახურება პოტენციური ზარალების განეიდრალებას.
საშელავათო პერიოდი	პერიოდი, რომლის განმავლობაშიც მსესხებელი ყოველთვიურად არ იხდის სესხზე დარიცხულ პროცენტს, საკომისიოს სრულად ან/და ძირს და რომელთა გადახდასაც დაიწყებს საშელავათო პერიოდის დასრულების შემდეგ.
სუპტექ (suptech) ინსტრუმენტები	საზედამხედველო ტექნოლოგიები, რომელიც გულისხმობს ზედამხედველობის პროცესში ინოვაციური ტექნოლოგიის გამოყენებას საზედამხედველო ორგანოების მიერ.
ფასს (IFRS – International Financial Reporting Standards)	ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტები

ფასს 9 (IFRS 9)

ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარდი, რომელიც განსაზღვრავს ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების აღიარებასთან, აღიარების შეწყვეტასთან, შეფასებასა და გაუფასურებასთან დაკავშირებულ საკითხებს.

ფინანსური ინოვაციების ოფისი

საქართველოს ეროვნულ ბანკს და ფინტექ სტარტაპებსა და ფინანსური სექტორით დაინტერესებულ ტექნოლოგიურ კომპანიებს შორის კომუნიკაციის საშუალება, რომლის მიზანია საზედამხედველო თემატიკის კითხვებზე პირდაპირი უკუკავშირის მიღება გაცემა, ფინანსურ სექტორში პასუხისმგებლიანი ინოვაციების ხელშეწყობა და ფინტექ ორგანიზაციებს/სტარტაპებს დახმარება ეროვნული ბანკის რეგულაციებისა და საზედამხედველო მდგომარეობის გაცნობიერებაში.

ფინანსური სექტორის შეფასების პროგრამა (FSAP – Financial Sector Assessment Program)

საერთაშორისო სავალუტო ფონდისა (IMF) და მსოფლიო ბანკის (World Bank) ერთობლივი პროგრამა, რომლის მიზანია ქვეყნის ფინანსური სექტორის მდგრადობის, მარეგულირებელი და საზედამხედველო ჩარჩოს ხარისხის და ფინანსური კრიზისების მართვის შესაძლებლობების შეფასება.

ქლაუდი

ინტერნეტ ბაზა მონაცემების, დოკუმენტებისა და პროგრამების შენახვისა და წვდომისთვის.

ლია აპლიკაციის პროგრამირების ინტერფეისი (OpenAPI)

ინტერფეისი, რომელიც უზრუნველყოფს მონაცემებზე წვდომას ლია/საჯარო სტანდარტზე დაყრდნობით.

ლია ბანკინგი

ელექტრონული ტექნოლოგიების გამოყენებით სხვადასხვა საფინანსო ორგანიზაციებს შორის ინფორმაციისა და სერვისების ელექტრონულად მყისიერი მიმოცვლა.

ლია რეგულირების პრინციპები

რეგულირების მოთხოვნების ცვლილების განხილვა, ინდუსტრიასთან დიალოგზე ღიაობა, რომელიც თავსებადია ეროვნული ბანკის განცხადებულ რისკის აპატივსა და საზედამხედველო პრინციპებთან.

ციფრული ბანკინგი

ბანკის ბიზნეს მოდელი, რომელიც საბანკო სერვისების მიწოდებას ძირითად ელექტრონული არხებით ახორციელებს და ადგილობრივ ბაზარზე მატერიალურად ახალ და ინოვაციურ ფინანსურ ტექნოლოგიებს იყენებს.



საქართველოს ეროვნული ბანკი
National Bank of Georgia

ეროვნული ბანკის საკონტაქტო ინფორმაცია

+995 322 406 406
info@nbg.gov.ge
<https://www.nbg.gov.ge>

ლიცენზირებასთან დაკავშირებით შეკითხვების არსებობის შემთხვევაში დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ ეროვნულ ბანკს შემდეგ ელ-ფოსტაზე მიმართონ:

- საბანკო საქმიანობის ლიცენზიის მიღებით დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ მოიწერონ შემდეგ მისამართზე: BankingLicense@nbg.gov.ge
- ციფრული ბანკის ლიცენზიის მიღებით დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ ეროვნული ბანკის ფინანსური ინოვაციების ოფისს მიმართონ: InnovationOffice@nbg.gov.ge